# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 20 თებერვალი 2003 №28 (1799) | ფასი 50 თეთრი





REUTERS

რეალი — დორტმუნდი 2:1. მადრიდელთა გამარჯვების გოლი რონალდოსი იყო

# ლიგას ახალი ფავორიტი ჰყავს: გრიპი!

ამ თანამედროვე ფეხბურთში რაღაც ისეთი თამაში წავიდა, ის გვიკვირს, ეროვნულ ჩემპიონატებში, ევროთასებსა თუ სანაკრებო ტურნირებში მოულოდნელი შედეგი რომ არ გამოერევა. გუშინ ჩემპიონთა ლიგის დღე იყო, სწორედ ასეთი საკვირველი, ლოგიკური შედეგების დღე.

ხომ ცხადი იყო, რომ „მილანს“ „ლოკომოტივი“ უნდა დაემარცხებინა. ასეც მოხდა, მაგრამ თუ მაინცდამაინც უცნაურობას გვინდა გამოვეკიდოთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მილანელებმა აუარება ისეთი მომენტი გააფუჭეს, საშუალო კლასის გუნდი გოლებად რომ აქცევდა.

სამეოთხედფინალო ბრძოლას დაუბრუნდა „რეალი“ და ესეც ასე უნდა ყოფილიყო. ის, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ანგარიში დორტმუნდელებმა გახსნეს, არაფერს ნიშნავს, აკი „რეალი“ ბოლო ხანს დაეჩვია ჯერ გაშვებას და მერე ორი იმდენის გატანას.

თითქოს პაწაწინა სენსაციის სუნი დაჰკრავდა „ბაზელისგან“ „დეპორტივოს“ ძლევას, მაგრამ საფუძვლიანად თუ მოვჩხრეკთ, ფაქტების ერთობლიობა საპირისპიროზე მიგვანიშნებს. პირველ ჯგუფურ ეტაპზე „ბაზელის“ დამარცხება მის „სენტ იაკობზე“ ვერავინ შეძლო, ამ ეტაპზე კი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დიდი გაჭირვებით მოახერხა. ჰოდა, რა გასაკვირია შვეიცარიელთა გუშინდელი გამარჯვება.

„იუვენტუსის“ მანჩესტერში დამარცხების ამბავი კი მატჩამდეც ითქვა, როცა გაირკვა, რომ ტურინიდან თბილისში წამოსულმა თუ თბილისიდან ტურინში წასულმა გრიპმა „იუვენტუსსაც“ დარია ხელი და ნახევარი გუნდი „ვაი, დედას“ ძახილით ლოგინში ჩააწვინა. თან დახეთ, ვერაგმა ვირუსმა თითქოს საგანგებოდ იტალიელთა საუკეთესო ფეხბურთელები ამოირჩია.

სხვა მხრივ კი გუშინდელი შეხვედრებით მეორე ჯგუფური ეტაპის პირველი წრე დასრულდა. ჯერჯერობით არც მეოთხედფინალშია ვინმე გასული და არც ჯგუფში ჩასარჩენად განწირული. დღეისთვის მხოლოდ ერთთა ფავორიტობასა და მეორეთა აუტსაიდერობაზე შეგვიძლია ლაპარაკი.




რეალი — დორტმუნდი. გოლის გატანა რაულმა წაქცეულმაც მოახერხა

REUTERS




ბაზელი — დეპორტივო. როი მაკაიმ საგოლედ ერთხელაც ვერ მოიქნია

REUTERS



მილანი — ლოკომოტივი. ჟაკობ ლეკხეტომ კლარენს ზეედორფს ფეხები აამღერინა

REUTERS

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003

## II ჯგუფური ეტაპი. III ტური

### C ჯგუფი

#### მილანი 1:0 ლოკომოტივი

1:0 ტომასონი (62)

მილანი: დიდა, ბროკი (შიმიჩი 80), ნესტა, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, პირლო, რუი კოშტა (სერჟინიო 63), რივალდო, ინძაგი, ტომასონი (ზეედორფი 68)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი (პარკსი 83), პაშინინი, სენიკოვი, ობრადოვიჩი, მამინოვი, ლოსკოვი, პიმენოვი, ბუზნიკინი (იზმაილოვი 46)

მწვრთნელი: იური სიომინი

გაფრთხილება: ობრადოვიჩი, ლეკხეტო

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

72 028 მაყურებელი

#### რეალი 2:1 დორტმუნდი

0:1 კოლერი (30), 1:1 რაული (43), 2:1 რონალდო (56)

რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, კონსეისაო, მაკელელე, ზიდანი (სოლარი 81), რაული, რონალდო (გუტი 74)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი (რიკენი 83), მეცელდერი, ვიორნსი, დედე, ევერტონი, როიტერი (კელი 76), ფრინგსი, როსიცკი, ამოროზო (რეინა 87), კოლერი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: ფრინგსი, ევანილსონი, კონსეისაო, კელი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

60 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| რეალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| დორტმუნდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

### D ჯგუფი

#### მანჩესტერი 2:1 იუვენტუსი

1:0 ბრაუნი (4), 2:0 ვან ნისტელროოი (85), 2:1 ნედვედი (90)

მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი (ოში 52), ბექემი, ბატი, კინი, სქოულზი (სოლსკიაერი 80), გიგზი (ფორლანი 90), ვან ნისტელროოი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

იუვენტუსი: კიმენტი, ძენონი, ფერარა, მონტერო, პესოტო, კამორანეზი, ზალაიეტა, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი, ტრეზეგე (ოლივერა 66)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

გაფრთხილება: დავიდსი, სქოულზი, ტაკინარდი, კინი

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

66 703 მაყურებელი

#### ბაზელი 1:0 დეპორტივო

1:0 ჰ. იაკინი (30)

ბაზელი: ცუბერბიულერი, ჰაასი, ცვისიგი, მ. იაკინი, ატუბა, ბარბერისი, კანტალუპი, ჩიპერფილდი (დურუზი 70), ჰ. იაკინი (ვარელა 85), ხიმენესი, როსი (მუგელი 50)

მწვრთნელი: კრისტიან გროსი

დეპორტივო: ხუანმი, ექტორი, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, სკალონი, დუშერი, დონატო (ტრისტანი 46), სერხიო (აკუნია 82), მაკაი, ლუკე (ამავისკა 64)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: ლუკე

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

29 031 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| იუვენტუსი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| ბაზელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| დეპორტივო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |



მარჩელო ლიპის გრიპიან „იუვენტუსს“ ბოლო რუუდ ვან ნისტელროიმ მოუღო

REUTERS



### გერმანია

**ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი**

მონხენგლადბახი 2:0 ვოლფსბურგი

**მეორე ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი**

როიტლინგენი 0:1 ბრაუნშვაიგი

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი. გადადებული მატჩები**

ექსელსიორი 0:2 როდა

ვიტესი 2:1 ზვოლე

ალკმაარი 3:1 ბრედა

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

მოზერუელი 2:1 დანფერმლაინი

**მეორე დივიზიონი. გადადებული მატჩი**

ბერვიკი — ჰამილტონი გადაიდო

**მესამე დივიზიონი. გადადებული მატჩი**

ისტ სტირლინგი — მონტროუზი გადაიდო

### ინგლისი

**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

ფულემი 3:0 ვესტ ბრომვიჩი

**პირველი დივიზიონი. გადადებული მატჩები**

ბრედფორდი — კრ. პალასი გადაიდო

იფსვიჩი 2:4 ვულვერჰემპტონი

**მესამე დივიზიონი. გადადებული მატჩები**

როჩდეილი — როვერსი გადაიდო

ბოსტონი — რექსემი გადაიდო

### საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი. გადადებული მატჩი**

ტრუა 2:0 ლილი

### პორტუგალია

**თასის V ეტაპი**

სეტუბალი — ჟოანე გადაიდო

### საბერძნეთი

**თასის 1/4 ფინალი. I მატჩი**

არისი 3:1 ეთნიკოსი

# ბარსელონას გაუმარჯოს! მილანის მოგონება იყოს



REUTERS ბარსელონიდან

პატრიკ კლუივერტმა და ხავიერ სავიოლამ იტალიელ მცველებს თავგზა აუბნიეს

**ბარსელონა 3:0 ინტერი**

**1:0 სავიოლა (7), 2:0 კოკუ (29), 3:0 კლუივერტი (67)**
**ბარსელონა: ბონანო, გაბრი, პუიოლი, დე ბური, რაიციგერი, ოვერმარსი (როჩემბაკი 71), კოკუ, ხავი, მოტა (მენდიეტა 73), კლუივერტი, სავიოლა (ლუის ენრიკე 81)**
**მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი**
**ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, გამარა, კორდობა, დალმა, დი ბიაჯო (ოკაკა 59), კ. ძანეტი, მორფეო (კალონი 66), ვიერი, რეკობა**
**მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი**
**გაფრთხილება: კორდობა, კ. ძანეტი**
**გაძევება: რეკობა (80)**
**მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)**
**87 000 მაყურებელი**

„ბარსელონამ" შავი დღე აყარა „ინტერს" და რეკორდსაც გამორჩა — ჩემპიონთა ლიგაში (თასზე) ზედიზედ 11 თამაში აქამდე არავის მოუგია. ბევრჯერ აღგვინიშნავს და ერთხელაც გავიმეოროთ, რომ ძველი რეკორდი, 10 მოგება, „მილანს" ეკუთვნოდა, რომელიც 1992-93 წლების სეზონში ასეთი შედეგით ფინალში გავიდა, იქ კი „მარსელთან" დამარცხდა. ეს ჩემპიონთა ლიგაში, ზოგადად ევროთასებზე კი „ბარსელონამ" „აიაქსის" რეკორდი გაიმეორა, რომელმაც თავის დროზე თასების მფლობელთა თასზე 11 თამაში მოიგო.

რეკორდი რეკორდად, მაგრამ „ბარსას" ახალმა მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა თქვა, რეკორდზე და სამ ქულაზე მნიშვნელოვანი ის ბრწყინვალე თამაში იყო, ჩვენ რომ ვაჩვენეთ.

თამაში სწრაფი გოლით დაიწყო. ხავიმ დაბალი პასი მისცა ხავიერ სავიოლას და არგენტინელმაც უმალ მიაგნო თავისუფალ სივრცეს, ბურთი გაისროლა და ტოლდო უსაქმოდ დატოვა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ხავი და სავიოლა, კლუივერტთან ერთად, საუკეთესონი იყვნენ მოედანზე. რაც ნამატჩევს ექტორ რაულ კუპერმაც აღნიშნა, სავიოლამ და კლუივერტმა ჩემი ფეხბურთელები სისწრაფეში დაჯაბნეს და თამაშიც ამ მიზეზით წავაგეთო.

უფრო სუსტად „ბარსელონას" დაცვა გამოიყურებოდა, მეტოქეს სახიფათოდ გარღვევების საშუალებას აძლევდა, თუმცა მასპინძელთა მცველები საბოლოოდ მაინც ახერხებდნენ ვითარების განმუხტვას. ასე მაგალითად, მიხაელ რაიციგერმა ორჯერ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. ერთ ეპიზოდში კი, კარლოს პუიოლისა და კრისტიან ვიერის ორთაბრძოლისას, ბარსელონელმა მცველმა ბურთს თითქოს ხელიც შეაშველა. ამის მერე ვიერიმ, რომელსაც სალიგო გოლი ჯერ არ გაუტანია, ორჯერ დაარტყა კარისკენ და რობერტო ბონანომ აუღო. თუმცა „ბარსას" არგენტინელი მეკარე მთლიანობაში მთლად საიმედოდ ვერ გამოიყურებოდა.

მალე მასპინძლები მეორე გოლს გამორჩნენ. იერიში ისევ ხავიმ წამოიწყო, უფრო სწორად კი, კუთხური ჩააწოდა. ბურთი კლუივერტმა მოიხელთა და კარისკენ დაუმიზნა. ტოლდომ მოგერიება კი შეძლო, მაგრამ ლუის ენრიკეს არყოფნაში კაპიტნად ქცეულმა ფილიპ კოკუმ პირველმა მიუსწრო და გაიტანა.

ექტორ კუპერი: „როცა მეტოქემ მეორე გოლი გაგვიტანა, თამაშის გადარჩენა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ „ბარსელონა" გაჩერებას არ აპირებდა, ამიტომ გათანაბრება ფაქტობრივად, შეუძლებელი შეიქნა".

მეორე ტაიმიც მასპინძლებისა იყო. მარკ ოვერმარსმა ორჯერ შეამოწმა ტოლდოს სიმტკიცე, კოკუმ კი ძელს გაარტყა. ამ მომენტიდან რამდენიმე წუთში „ბარსელონამ" მესამეც გაიტანა. სავიოლამ მარცხენა ფლანგზე ქარივით ჩაუქროლა ფაბიო კანავაროს, მარჯვნივ გახტა, კარის წინ კლუივერტი დალანდა, ჩააწოდა და ჰოლანდიელმაც დასწრებაზე წაჰკრა ბურთს ფეხი.

თამაშიც ფაქტობრივად ამით დამთავრდა, თუმც ორი აღსანიშნავი ამბავი კიდევ მოხდა. ვინ იცის რატომ, ნერვებმა უმტყუნა, თუ ასე უნდოდა სამაგიეროს გადახდა, ალვარო რეკობამ ლამის ქაცვების ანაბეჭდი დაასვა სახეზე პუიოლის და წითელი ბარათი დაიმსახურა. რეკობას გასვლისთანავე კი „კამპ ნოუმ" ტაში დასცხო — მოედანზე დიდი ხნის უთამაშებელი, ტრავმამოშუშებული ლუის ენრიკე შევიდა, ჯერჯერობით მხოლოდ ცხრა წუთით.

ახლა ვითარება იმკვარია, რომ „ბარსელონა" ცალი ფეხით მეოთხედფინალშია, თუმცა ყველა შესაძლო ვარიანტთა შორის არის ისეთიც, რომლის თანახმადაც კატალონიელები შეიძლება ბოლო ადგილზეც აღმოჩნდნენ. მაგრამ ეს ნაკლებრეალური ვარიანტია.

მეოთხედფინალი ვახსენეთ და ეს ეტაპი რადომირ ანტიჩის ზღვარია. 1997 წელს სერბმა მადრიდის „ატლეტიკო" ჩემპიონთა ლიგის სწორედ ამ ეტამდე გაიყვანა. ვინძლო, ანტიჩმა პირადი რეკორდიც გააუმჯობესოს.

უხასიათოდ არც „ინტერია". კუპერმა მხრები აიჩეჩა, სამიდან ორი მატჩი მოვიგე და გულგატეხილი რატომ უნდა ვიყოო. მართლაც, მილანელები მეუვარის სამი ქულით უსწრებენ და თეორიულად უფრო ძლიერებიც არიან.



REUTERS ბარსელონიდან

მარკ ოვერმარსი და ივან კორდობა



REUTERS ლევერკუზენიდან

შეგირდებმა სერ ბობი რობსონი სამქულიანი საჩუქრით გაახარეს

# იუბილარს მიესალმებიან კაჭკაჭები

**ლევერკუზენი 1:3 ნიუკასლი**

**0:1, 0:2 ამეობი (5, 16), 1:2 ფრანცა (26), 1:3 ლუა ლუა (32)**
**ლევერკუზენი: ბუტი, პროისი (შნაიდერი 46), კლაინი, კრიხი (კალსენ-ბრაკერი 72), ოჯიგვე, შიმაკი, ბალიტჩი (კალუჟნი 79), ბაშთურქი, ბრდარიჩი, ნოივილი, ფრანცა**
**მწვრთნელი: თომას ჰორსტერი**
**ნიუკასლი: გივენი, ჰიუზი, ბრემბლი, ობრაიენი, ბერნარი, ჯენასი, დაიერი, სპიდი, რობერი, ლუა ლუა (ჩოპრა 84), ამეობი (კორტი 84)**
**მწვრთნელი: ბობი რობსონი**
**გაფრთხილება: ბალიტჩი**
**მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)**
**22 500 მაყურებელი**

სხვა, უფრო ძლიერ გუნდთან რა გითხრათ და, „ლევერკუზენთან" „ნიუკასლი" ალან შირერისა და კრეიგ ბელამის გარეშეც იოლად გავიდა ფონს. შოლა ამეობიმ გერმანელებს დუბლი შეუსრულა, ერთიც ლომანა ლუა ლუამ გაიტანა და ინგლისელებმა სალიგო ქულების ანგარიში გახსნეს. ამ სამმა ქულამ „ნიუკასლს" ჯგუფიდან გასვლის არცთუ ურიგო შანსიც გაუჩინა, მისმა მენეჯერმა ბობი რობსონმა კი თქვა, დაბადების დღისთვის მეტი საჩუქარი არც მინდოდაო. შეგახსენებთ, რომ სერ ბობი მატჩის დღეს სამოცდაათისა მოიყარა.

ხოლო „ლევერკუზენს", როგორც ჩანს, აღარაფერი ეშველება. თეორიულად გუნდს ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლაც შეუძლია, მაგრამ ამ ზღაპრებისა, აბა, ვის სჯერა. ჩემპიონთა ლიგა იქით იყოს და, ეგებ მეორე ბუნდესლიგაშიც ამოჰყოს თავი — „ლევერკუზენმა" ბოლო ექვსი თამაში წააგო, ხუთი გერმანიის ჩემპიონატში და მეექვსეც ეს. ერთი სიტყვით, „ლევერკუზენი" მორიგი ერთწლიანი გუნდია და კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, შარშანდელ შედეგს სანამ გაიმეორებს.

მე-16 წუთისთვის „კაჭკაჭები" უკვე 2:0 იგებდნენ და ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. შოლა ამეობიმ პირველი გოლი, ლუა ლუას პასით, იოლად გაიტანა, მეორისას კი მეტი გარჯა დასჭირდა — ჯერ მასპინძელთა ბრაზილიელი კრისი ჩამოიტოვა, მერე თომას კლაინი და დაბალ კუთხეში დაარტყა.

„ამეობიმ დიდი საქმე გაგვიკეთა — თქვა რობსონმა — მატჩის ბედი სწრაფად გადაწყდა, რამაც დარჩენილ დროში ამოსუნთქვის საშუალება მოგვცა".

მასპინძლები თითქოს გამოერკვნენ, ამეობისგან ნაწვნევი ნაღველი გაიქარვეს და იქით შეუტიეს. ათ წუთში საპასუხო გოლიც გავიდა. ბრაზილიელმა ფორვარდმა ფრანცამ ზედ საჯარიმოს ხაზზე იან შიმაკის პასი მიიღო, შეი გივენს ბურთი თავზე გადაავლო და „ბაიარენაზე" შეკრებილთ იმედიც გაუჩინა.

იმედი როგორც უცაბედად გაჩნდა, ასევე მოკვდა, სულ ექვსი წუთი იცოცხლა. ლორენ რობერის ჩაწოდებულ ბურთს ლუა ლუამ ძირს დაშვება არ აცალა, დაჰკრა და გაიტანა.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდს ჰქონდა თითო-ოროლა კარგი საგოლე შანსი. მთლიანობაში კი სტუმრებს თავი ლიდად აღარ გამოუდიათ, ხოლო „ლევერკუზენს" რისი თავიც აქვს, მოგეხსენებათ.

მასპინძლებს ეგებ ბრძოლის ჟინი მოემატებოდათ, „ნიუკასლი" კი დამფრთხალიყო, 51-ე წუთზე ნორვეგიელ არბიტრ ტერიე ჰაუგეს ტომაშ ბრდარიჩის გოლი რომ არ გაეუქმებინა თამაშგარეს გამო. ამ ეპიზოდის გარდა გერმანელებმა ერთი კარგი მომენტიდა შექმნეს, როცა ფრანცას დარტყმული გოლის რის ვაი-ვაგლახით მოიგერია ხარიხას ზემოთ — ეს იყო და ეს. ამეობის კი დუბლის ჰეთ ტრიკად ქცევა შეეძლო, მაგრამ მანს იორგ ბუტმა არ დაანება.

მატჩის შემდეგ თომას ჰორსტერმა, კლაუს ტოპმოლერის გაგდების მერე „ლევერკუზენის" დროებითმა მწვრთნელმა თქვა, ბევრსაც ნუ მომთხოვთ: „რეგიონალლიგა და ჩემპიონთა ლიგა ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა". მოგახსენებთ, რომ ჰორსტერი აქამდე გერმანიის სამოყვარულო ლიგაში მოთამაშე „ლევერკუზენის" ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა და უეცრად ამხელა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილა, აბა, რას გახდებოდა. „ორი უბრალო შეცდომა ძვირად დაგვიჯდა" — დასძინა ჰორსტერმა.

სერ ბობი რობსონი კი ქომაგს დაპირდა, პირველი სამი ქულა ხომ მოვიხვეჭეთ, ერთი კვირის მერე სამსაც მოვამზადებთ, მერე კი ვნახოთ, რა მოხდებაო.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| ლევერკუზენი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:8 | 0 |



REUTERS ლევერკუზენიდან

ტიტუს ბრემბლიმ ფრანცას ბურთთან ცალი ფეხით მიასწრო

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. III ტური. B ჯგუფი

# აი, იქსი ფრეშეყრილი არსენალი




REUTERS

სტივენ პიენაარმა და პატრიკ ვიეირამ ერთმანეთში გვარიანად იჯაჯგურეს

**არსენალი 1:1 აიაქსი**

1:0 ვილტორდი (5), 1:1 დე იონგი (17)
არსენალი: სიმენი (ტეილორი 46), ლორენი, კემპბელი, სიგანი, კოული, ვილტორდი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა (ჯეფერსი 72), პირესი, ანრი, ბერხკამპი (კანუ 85)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, კოვუ, პასანენი, ვან დამი (ვიჩგე 76), პიენაარი (იაკუბუ 90), მაქსველი, გალაშეკი, დე იონგი, ვან დერ მეიდე, იბრაჰიმოვიჩი (ბუხარი 79)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: პასანენი, ლობონტი, ჟილბერტო სილვა, ბუხარი, პირესი
მსაჯი: ლუსილიუ ბატისტა კორტესი (პორტუგალია)
35 427 მაყურებელი

**„არსენალს“** მეოთხედფინალისკენ ვეებერთელა ნაბიჯის გადადგმა შეეძლო, მაგრამ „აიაქსმა“ არ დაანება — არსენ ვენგერისა და რონალდ კუმანის გუნდების თამაში „ჰაიბერიზე“ 1:1 დამთავრდა.

გოლები შეხვედრის დასაწყისში გავიდა. პირველად „არსენალმა“ გაიტანა. კერძოდ, თავი სილვენ ვილტორდმა გამოიჩინა, ხოლო შემდეგ ნაიჯელ დე იონგმა გაქვითა. ეს მე-5 და მე-17 წუთებზე მოხდა და უნდა ითქვას, რომ ორივე მხარემ ღირსეულად წარმოაჩინა თავი.

საგულისხმოა, რომ ეს ზედიზედ მესამე ფრე გამოდგა, რომელიც „არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში შინ ითამაშა. დღეს, როგორც ცხრილიდან ხედავთ, ლონდონელებსაც და ამსტერდამელებსაც სამი თამაშიდან ხუთი ქულა აქვთ და „ვალენსიასთან“ არიან ტოლად.

„არსენალიცა“ და „აიაქსიც“, გასულ სეზონში, თავიანთი ქვეყნების ჩემპიონები და თასის მფლობელები გახდნენ, ერთმანეთში კი, როგორც ნახეთ, ფრედ ითამაშეს. ერთი სიტყვით, მათ შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ გასარკვევია და საამისო შანსი ერთი კვირის შემდეგ მიეცემათ — ჩემპიონთა ლიგის მორიგ ტურში იგივე გუნდები უკვე „ამსტერდამ არენაზე“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

„ცხადია, წინასწარ მსჯელობისას ვალენსიიდან და ლონდონიდან წამოღებულ ქულებს არ ვითვლიდით, მაგრამ ახლა ფაქტის წინაშე ვდგევართ. დღეს დაცაში ძალიან ძლიერად ვითამაშეთ“ — განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ამსტერდამელთა თავკაცმა რონალდ კუმანმა — ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს. ამიტომ მისი გაკრიტიკება ძნელია და სწორი არ არის, თუმცა, ვფიქრობ, შეტევაში უკეთ მოქმედებაც შეიძლებოდა. „არსენალმა“ ისე ვერ ითამაშა, როგორც შეუძლია, ოღონდ ამაში დიდი წვლილი ჩვენ შევიტანეთ“.

უნდა ითქვას, რომ ლონდონელებმა, რომელთაც, მოგეხსენებათ შაბათს „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ 2:0 დამარცხებას დაახარჯეს დიდი ძალა, ეს თამაშიც საკუთარი სიძლიერის შეგრძნებით, აუღელვებლად დაიწყეს და უკვე მეხუთე წუთზე, ყოფილი აიაქსელის, დენის ბერხკამპის მოზომილი პასითა და ზემოხსენებული ვილტორდის გოლით დაწინაურდნენ. მასპინძელთა ინიციატივა ამის შემდეგაც თვალნათელი გახლდათ, მაგრამ მე-17 წუთზე „აიაქსმა“ პირველი შეტევა წამოიწყო, რომელიც, როგორც მიხვდით, გოლით დასრულდა: მცველის, ტომაშ გალაშეკის 50 მეტრიანი პასი 18 წლის დე იონგმა მიიღო (ცნობისთვის: ჰოლანდიის ჩემპიონის შემადგენლობაში იმ დღეს სულ ორი ჰოლანდიელი თამაშობდა და დე იონგი ერთ-ერთი მათგანი გახლდათ) და დევიდ სიმენის კარში შეაგდო. ეს გახლდათ ყმაწვილკაცის პირველი გოლი „აიაქსის“ შემადგენლობაში.

პირველივე შეტევით გატანილმა გოლმა მრავალეროვნულ, ახალგაზრდულ გუნდს დიდად გამოუკეთა გუნება. სამხრეთაფრიკელმა ნახევარმცველმა სტივენ პიენაარმა პატრიკ ვიეირას გვარიანი პრობლემები შეუქმნა, ხოლო მის პასებს დე იონგი და ენდი ვან დერ მეიდე ეხმაურებოდნენ. შვედ ზლატან იბრაჰიმოვიჩს და ბრაზილიელ მაქსველს პროგრესი შეემჩნეოდათ, ბერხკამპი და ტიერი ანრი კი სტუმართა საჯარიმოსთან ბევრს ვერაფერს ახერხებდნენ.

კიდევ ის უნდა ითქვას, რომ კვლავ დაშავდა დევიდ სიმენი, რომელიც სტიუარტ ტეილორმა შეცვალა.

არსენ ვენგერმა თამაშის დამთავრებამდე წუთით ადრე ბერხკამპი კიდევ ერთი ყოფილი აიაქსელით, ნვანკვო კანუთი შეცვალა, მაგრამ ვერ უშველა.

პრესკონფერენციაზე ვენგერის მაგივრად ასისტენტი მწვრთნელი, პეტ რაისი მივიდა, რომელმაც განაცხადა: „ისე ჩანს, რომ „რომა“ შემდეგ ეტაპზე გამსვლელი აღარ უნდა იყოს, ამიტომ ერთი კვირის შემდეგ ამსტერდამში გადამწყვეტი მატჩი გაიმართება. დღევანდელი შეხვედრა ჩვენ დიდებულად დავიწყეთ, მაგრამ სტუმრები საუცხოოდ იცავდნენ თავს და მძაფრი კონტრშეტევისთვისაც სულ მზად იყვნენ. ბუნებრივია, ამ ტურის შემდეგ უკვე შვიდი-რვა ქულა რომ გვქონოდა, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ დაკარგულიც არაფერია და მწამს, ჩვენ მეოთხედფინალში გავალთ“.

# რომას თავს შთავოზაა

**რომა 0:1 ვალენსია**

0:1 კარეუ (79)
რომა: პელიცოლი, ძებინა, დელასი (ბომბარდინი 54), ალდაირი, პანუჩი, კაფუ, ტომაზი, ლიმა, გიგუ, მონტელა (კასანო 46), დელვეკიო (კუფრე 54)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ვალენსია: კანისარესი, რეველიერი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, რუფეტე (მისტა 72), ალბელდა, ბარახა, ვისენტე (კილი გონსალესი 62), აიმარი (მარჩენა 88), კარეუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კანისარესი, ძებინა, კილი გონსალესი, გიგუ, მისტა
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
40 000 მაყურებელი

ნუთუ, „რომას“ კიდევ აქვს მეოთხედფინალში გასვლის შანსი?

79-ე წუთი იყო, როდესაც „ვალენსიაში“ მოთამაშე ნორვეგიელმა იონ კარეუმ მასპინძელ მეკარეს, ივან პელიცოლის ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი ბურთი დაურტყა, რომელმაც იფრინა და ბოლოწამს, ახლო ძელთან ბადეში შევარდნა გადაწყვიტა. ეს გახლდათ „სტადიო ოლიმპიკოზე“ გამართული შეხვედრის ერთადერთი გოლი და დასტური იმისა, რომ „ვალენსიამ“ იტალიიდან უეფას შტაბ-ბინაში ჩაკეტილ ოფიციალურ ცხრილში სამი ქულა ჩაიწერა, ხოლო ფაბიო კაპელოსა და მისი გუნდის თავს რაღაც ძალიან უცნაური ამბავი ტრიალებს. ადამიანები ამას კრიზისს ეძახიან.

ვერც „რომამ“ გამოიჩინა იმ დღეს თავი და ვერც „ვალენსიამ“ — ქულებზე უკვე ვთქვით, თამაშის ხარისხზე კი ახლა მოგახსენებთ — შეჯიბრებას თავისი წესი აქვს და მისთვის სულაც არ არის აუცილებელი ყველა თამაში სანახაობრივი იყოს. საწყის წუთებში, შეიძლება ითქვას, რომაელები სჯობნენ მეტოქეს, თუმცა თავდასხმაში ვინჩენცო მონტელა ვერ ყოჩაღობდა. ობიექტურობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ ფაბიო კაპელოს ამ შეხვედრაში მნიშვნელოვანი ფეხბურთელები აკლდნენ, კერძოდ, ვენსან კანდელა, ვალტერ სამუელი, ემერსონი და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავი, კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი. ამასვე უნდა დავამატოთ ის გარემოება, რომ რომაელთა ორი ახალშენაძენი, შეიძლება ითქვას საიანვრო-საახალწლო, ანუ თოვლის ბაბუას საჩუქარი, ოლივიე დაკური და მასიმო მარაცინა ჩემპიონთა ლიგისთვის გამოუსადეგარი ბრძანდებიან, ამ სეზონში უკვე ნათამაშევი აქვთ ევროშეჯიბრებაში სხვა გუნდის სახელით და ისინიც ჩვენსავით მაყურებლები იყვნენ. არადა, სერია A-ში ხელმოცარულ კაპელოს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში მაინც მოიწმენდდა პირს.

ამაზე ერთი ანეკდოტი გვახსენდება. ერთი მეორეს ეკითხება, ბავშვს რა დაარქვიო. შოშოო, პასუხობს მეორე. კი მაგრამ, ს-ს თუ ვერ ამბობდი, გურამი რატომ არ დაარქვიო, გაიკვირვა პირველმა. ასეა „რომას“ საქმეც: თუ ჩემპიონთა ლიგაზე აკეთებდა აქცენტს, რაღა ისეთი ფეხბურთელები იყიდა, რომელთაც ამ შეჯიბრებაში თამაშის უფლება არ ჰქონდათ? და, საერთოდ, როგორც გითხარით, ამ გუნდის თავს რაღაც ვარსკვლავები განლაგდნენ ძალიან ცუდად.

„ვალენსია“ კი, ბუნებრივია, შინ ჩინებულ გუნებაზე დაბრუნდა. ზოგადადაც უნდა ითქვას, რომ ამ გუნდს ცუდ გუნებაზე ყოფნის არანაირი საბაბი არ აქვს, რადგან ლიგა ლიგად და ესპანეთის ჩემპიონატში ბოლო ხუთი თამაშიდან ოთხი მომიგო, რამაც მესამე ადგილზე ააძვრინა.

მე-10 წუთზე კაფუს პასით მონტელას შეეძლო ანგარიშის გახსნა. 25-ე წუთზე კი ესპანელთა ნახევარმცველმა, ფრანსისკო რუფეტემ დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ ბურთი „რომას“ მეკარე პელიცოლიმ მოიგერია.

გავიდა ოთხი წუთი და მარკო დელვეკიოს თავურმა კინაღამ სანტიაგო კანისარესი დასცა, ხოლო შესვენებისას კაპელომ მონტელას მაგივრად 20 წლის ანტონიო კასანო შეიყვანა მოედანზე.

67-ე წუთზე დამიანო ტომაზიმ ბურთი ჭკვიანურად გადააგდო ვალენსიელ მცველთა ზურგსუკან, სადაც იგი კაფუმ მიიღო, ოღონდ ააცილა.

კიდევ 12 წუთში ესპანელმა მცველმა რუბენ ბარახამ შორეული დარტყმით მოუსინჯა პელიცოლის კბილები, მაგრამ გაირკვა, რომ მასპინძელთა მეკარეს კბილები ადგილზე ჰქონია.

ბოლოს კი ის ამბავი მოხდა, კარეუმ თითქოსდა უწყინარად რომ დაარტყა.

**პაპუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| რომა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |



REUTERS

მარკო დელვეკიოს რობერტო აიალა ჩაუწვა

## უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP

მერვედფინალი. პირველი მატჩები

| |
|---|
| სლავია (ჩეხეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) |
| ჰერტა (გერმანია) — ბოავიშტა (პორტუგალია) |
| მალაგა (ესპანეთი) — აეკ (საბერძნეთი) |
| ლაციო (იტალია) — ვისლა (პოლონეთი) |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) |
| სელტიკი (შოტლანდია) — შტუტგარტი (გერმანია) |
| პორტუ (პორტუგალია) — დენიზლისპორი (თურქეთი) |
| ოსერი (საფრანგეთი) — ლივერპული (ინგლისი) |

# წითური ტილი და ცრუ პლატინა

# მირჩა ჩეხებს ჩაუჯდა





„ბეშიქთაშის“ მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ და პასკალ ნუმა „სლავიას“ უფრთხიან

დღეს უეფას თასის მერვედფინალური მატჩები გაიმართება, მაგრამ სანამ დღევანდელებზე ვიტყვით, გავიხსენოთ, რა ხდებოდა შარშან ამ დროს. გასული წლის თებერვალში უეფას თასს სამი იტალიური („პარმა“, „მილანი“, „ინტერი“) გუნდი ამშვენებდა, აწლა კი ოდენ ერთი „ლაციოა“.

ასევე სამნი იყვნენ ჰოლანდიიდან („ფეიენოორდი“, „ეინდჰოვენი“, „როდა“) და „ფეიენოორდმა“ თასი მოიგო. წლეულს ჰოლანდიელებს გვალვა დაუდგათ.

ორი გუნდი („ლიონი“, „ლილი“) ჰყავდა საფრანგეთს, ამჯერად მხოლოდ „ოსერის“ იმედზე დარჩა. თუ წინა გათამაშებაში ესპანეთიდან „ვალენსია“ იბრძოდა, დღეს „მალაგა“ შემორჩა. შოტლანდიიდან, ცხადია, ან „რეინჯერსი“ იქნებოდა, ან „სელტიკი“ — შარშან „რეინჯერსი“ „ფეიენოორდთან“ დამარცხდა, ახლა „სელტიკს“ კი მერვედფინალში „შტუტგარტის“ ძლევა სჭირდება მეოთხედფინალში გასაღწევად.

გერმანელებს ორი გუნდი ჰყავთ, „ჰერტა“ და „შტუტგარტი“. 2002-ში დორტმუნდის „ბორუსიამ“ ფინალამდე იარა, მაგრამ „ფეიენოორდმა“ აჯობა. ინგლისი გასულ წელს „ლიდსმა“ წარმოადგინა, ახლა „ლივერპულს“ შეჰხარის. ორ-ორი გუნდით მიაღწიეს მერვედფინალს პორტუგალიამ და თურქეთმა, რომელთა ხსენებაც ერთი წლის წინ არ იყო.

თურქთაგან განსაკუთრებით „ბეშიქთაშია“ გამოსარჩევი, რადგან თითქმის თორმეტი თვეა, გუნდს მარცხის გემო დაავიწყდა. ჩემპიონატში ხომ წაუგებლად მისრიალებს და უეფას თასზეც მისი მძლეველი არ გამოჩნდა. „ბეშიქთაშის“ მწვრთნელს მირჩა ლუჩესკუს „სლავიას“ თამაშის ვიდეოფირი წინ და უკან დაუტრიალებია. ჩეხები მთელს მოედანზე თუ არ შევბოჭეთ, ჯანით გვაჯობებენო, უთქვამს ფეხბურთელებისთვის.

მცირე სენსაციის ავტორია მეორე თურქული გუნდი „დენიზლისფორი“. მან გზიდან „ლორიანი“, „სპარტა“ და „ლიონი“ ჩამოიცილა. „დენიზლის“ მწვრთნელმა რიზა ჩალიმბაიმ თქვა: „ფავორიტებად არავინ მიგვიჩნევდა, მაგრამ მერვედფინალში გავაღწიეთ, ამიტომ ჩვენი ჩამოწერა არც ამჯერად ეგების“.

„პორტუ“, რომელიც უეფას თასის მეოთხედფინალში 2001 წელს „ნანტის“ ძლევით გავიდა, კბილებალესილი დაუხვდება თურქებს. ჩემპიონატში მიჯრით მოგებული 13 მატჩის შემდეგ „პორტუ“ „მარიტიმუსთან“ დამარცხდა და გამარჯვებების ახალი სერიის დაწყებას „დენიზლის“ გაცამტვერებით გეგმავს.

დიდი რია-რია იქნება „სელტიკ პარკზე“. ორი წლის წინ მერვედფინალიდან „შტუტგარტი“ ვიგოს „სელტამ“ გააგდო და არცთუ ურიგო ფორმაში მყოფ გერმანელებს თვალი მეოთხედფინალისკენ უჭირავთ. შოტლანდიურ გრანდს ყბამონგრეული მთავარმეგოლე ჰენრიკ ლარსონი არ ეყოლება. ჰარტსონი კი დისკვალიფიცირებულია. „შტუტგარტმა“ მერვედფინალამდე წაუგებლად იარა, „სელტიკმა“ კი ბოლოს ვიგოში „სელტასთან“ მარცხის მიუხედავად, სტუმრად გატანილი გოლის წყალობით ორი მატჩის ჯამში იმარჯვა. გერმანული გუნდის ჯიგარი, ბულგარელი ლეგიონერი კრასიმირ ბალაკოვი სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს და ფულიქს მაგათის თანაშემწე გახდება.

„ოსერი“ „ლივერპულს“ უმასპინძლებს. ჯიბრილ სისე მატჩს დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება. მეორე თავდამსხმელი ოლივიე კაპო ტრავმირებულია და ალბათ მის მკურნალობას ერთი თვე დასჭირდება. ასე რომ, კაპო, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად „არსენალს“ გოლიც გაუტანა, „ლივერპულთან“ ორივე შეხვედრას გამოტოვებს. ეს გუნდები 1991 წელსაც გადაჰყრიან ერთმანეთს უეფას თასზე. საფრანგეთში „ოსერმა“ 2:0 მოიგო, მაგრამ „ენფილდზე“ 0:3 დამარცხდა.

მაიკლ ოუენს ევროთასებზე 19 გოლი აქვს გატანილი და ფრანგებს ერთიც რომ შეუგდოს, იან რაშის რეკორდს გაიმეორებს.

აქამდე წაუგებლად უვლია „მალაგას“. ესპანურ გუნდს პრიმერადივიზიონის გასულ ტურში ურუგვაელი დარიო სილვა ტრავმის გამო ვერ დაეხმარა, ახლა კი მომჯობინდა და ხულიო დელი ვალდესთან წყვილში ბერძენთა კარს შეუტევს. აეკს ბლომად პრობლემები დაუგროვდა. ლაზარეთში არიან: მცველი მიხალის კაპსისი და ნახევარმცველები: კოსტას კაცურანისი, გრიგორის გეორგატოსი, მილენ პეტკოვი. მიუხედავად ამისა, აეკის მწვრთნელი დუშან ბაჟევიჩი უკან დახევას არ აპირებს: „ერთი გოლის გატანას მაინც შევეცდებით. დაცვაში ჩაჯდომა ჩვენი სტილი არაა“.

საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოყოლებული, კრაკოვის „ვისლამ“ რვა მატჩი გამართა და ოდენ ერთხელ პარმაში „პარმასთან“ დამარცხდა. მიუხედავად ამისა, პოლონელებმა „პარმაც“ ჩამოიშორეს გზიდან და მერე ზედ „შალკეც“ „დესერტად დააჭირეს“. ამიტომაცაა, რომ „ლაციოს“ ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი მეტოქეს სათანადოდ აფასებს: „ვისლამ“ ორი ძლიერი გუნდი დაიფრინა და ჩვენ მოდუნების უფლება არ გვაქვს“. რომაელებს სიმონე ინძაგი დააკლდებათ, რომელმაც „რომასთან“ სათასო მატჩში ვალტერ სამუელთან შეჯახებისას ხელი მოიტეხა.

ბერლინში „ჰერტა“ „ბოავიშტას“ ტრავმირებული წითური ნახევარმცველის ანდრეას ნოიენდორფის გარეშე დაუხვდება. ნოიენდორფი, მეტსახელად „ტილი“, სამკურნალოდ ექიმების ხელში ჩავარდა და „ბოავიშტასთან“ ორივე მატჩს გამოტოვებს. საერთოდ, „ტილისთვის“ უეფას თასზე გამოსვლა უიღბლობით გამოირჩა. პირველ ეტაპზე „აბერდინთან“ უხეშობისთვის გააძევეს და სამმატჩიანი დისკვალიფიკაციაც აჰკიდეს. შედეგად ნოიენდორფს „აპოელთან“ ორივე შეხვედრა გაუცდა. პორტუგალიელებსაც დიდი დანაკლისი აქვთ. მათ ერვინ სანჩესი, „პლატინად“ წოდებული ნახევარმცველი არ ეყოლებათ. ისე, „ბოავიშტა“ ამ სეზონში პლატინიანადაც არ ბრწყინავს და, საეჭვოა, „ჰერტას“ საკადრისი წინააღმდეგობა გაუწიოს.

ამ ქვეყნისკენ მობრუნდა „პანათინაიკოსი“ მას შემდეგ, რაც გუნდში სერხიო მარქარიანი დაბრუნდა. ბერძენთა ბანაკში იდეალური ატმოსფეროა და გუნდმა თავისი თამაში იპოვა. მარქარიანის მთავარი თიხეული — მცველი იურკას სეიტარიდისი, ნახევარმცველები ანგელოს ბასინასი, გეორგოს კარაგუნისი და ემანუელ ოლისადებე — ჯანზეა და „ანდერლეხტის“ დასამარცხებლად ემზადება.

**ვაჟა ხუციშვილი**



მაიკლ ოუენს იან რაშის რეკორდამდე გოლი უკლია


# სარბიელი
## სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ
„სარბიელის“ რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14





# არსენმა ალექსს ამ ხნის კაცი ხარ და ბუცი?!

ორი სათვალიანი, ორი სამყარო, ორი ტიტანის ჭიდილი — სერ ალექს ფერგიუსონი და მუსიე არსენ ვენგერი, „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი", შოტლანდიელი და ფრანგი. პრემიერლიგის ისტორიაში ფერგიუსონმა შვიდჯერ მოიგო ჩემპიონობა, ფრანგმა ორჯერ. ეს ორი მწვრთნელი შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ ერთურთის კბილი არ გაჰკრას. რა თქმა უნდა, ტაქტი დაცულია და გულისნადები მთლად გარეთ არ გამოდის.

„არსენალმა" თასზე „მანჩესტერს" მოუგო, ფერგიუსონი განრისხდა და რაც ამ განრისხებას მოჰყვა, თავადაც კარგად მოგეხსენებათ. აბა, არსენ ვენგერი მომხდარზე კომენტარს არ გააკეთებდა? ჰოდა, ფრანგმა თქვა, რომ სერ ალექს ფერგიუსონის „გმირობას" ვერასოდეს ჩავიდენ და ფეხბურთელებს ბუცებს ვერ ვესვრიო. იქვე ვენგერმა დასძინა, შოტლანდიელს უფლება არ ჰქონდა, ასე მოქცეულიყო: „მეც ფეთქებადი კაცი ვარ. ძალიან ხშირად მომაწვება ბოღმა და მინდა, ფეხბურთელებზე ვანთხიო, მაგრამ თავშეკავების უნარი მაქვს და მოქმედებებს სრულად ვაკონტროლებ. ჩემში საშინელი მხეცი ბუდობს, რომელმაც შეიძლება ნებისმიერ დროს გაიღვიძოს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფეხბურთი თამაშია და მორიგი მატჩის დასრულების შემდეგ ხვალინდელ დღეზე უნდა იფიქრო. მწვრთნელობაში მთავარია ემოციების მოთოკვა. არასოდეს მინახავს მწვრთნელი, წაგება გაჰხარებოდეს, მაგრამ ბუცების სროლა? ეს უკვე ზედმეტია".

**ვაჟა ხუციშვილი**



## ცვილის ნაკერები

*ეს ამბავი მანჩესტერში მოხდა, ფოტო ლონდონურმა „სანმა" გამოაქვეყნა, ყველაზე ოპერატიულად კი ხალხი შორეულ ჰონკონგში დაფაცურდა. „მუდამ ვცდილობთ, რომ ჩვენი ფიგურები ორიგინალებს ჰგავდნენ" – განაცხადა ჰონკონგის ცვილის ფიგურების მუზეუმის წარმომადგენელმა.*

*დიახ, ალექს ფერგიუსონსა და დევიდ ბექემს შორის მომხდარი ინციდენტის მეორე დღეს ინგლისელი ვარსკვლავის ცვილის ფიგურასაც ორი ნაკერი ამშვენებდა. „როიტერის" ფოტოზეც სწორედ ცვილის ბექემის ახალი ვარიანტია აღბეჭდილი.*

*თავად ლონდონურ „მადამ ტიუსოში" „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი ისევ ძველებურად იღიმება.*

# კანუს გული

*ჩვეულებრივ, მოთამაშეები ამბობენ, რომ ფეხბურთი მათი ცხოვრებაა, მაგრამ ნიგერიელი ნვანკვო კანუსთვის ის კინაღამ სიკვდილად იქცა. და, აი, დღეს, „არსენალის" ფეხბურთელი, ჩემპიონთა ლიგის, ინგლისის ჩემპიონატის და ფეხბურთის ასოციაციის თასის გარდა აფრიკელი ბავშვების სიცოცხლის გადარჩენაშიც მონაწილეობს — მარტში, კანუს „გულის ფონდი" (ვინ იცის, სახელწოდებას ორმაგი მნიშვნელობა აქვს) აწყობს საქველმოქმედო შეხვედრას, რომლით მოზიდული ფულიც იმ პროგრამას გადაეცემა, 42 მოზარდს უკვე რომ გაუკეთა კარდიოლოგიური ოპერაცია.*



„კარგად მახსოვს, რა დღეც გადამხდა და, ამიტომ, განუწყვეტლივ ბავშვებზე ვფიქრობ. დიდები ხვდებიან რაც სჭირთ და ტკივილს გრძნობენ, მაგრამ ბავშვები? მერედა, ზოგი მათგანი პრივილეგირებული არ არის, საავადმყოფოში დაწოლის ფულიც არ აქვს". — ამბობს კანუ, რომელსაც 1996 წელს ღვთის რწმენამ გადაატანინა უმძიმესი დღეები.

ფეხბურთი... აი, რას მიუძღვნა ნიგერიელმა ბიჭუნამ მთელი ბავშვობა. პატარა რეზინის ბურთით თამაშს ბოლო არ უჩანდა და, თურმე, სწორედ ეს, ნამდვილისგან ძალიან განსხვავებული ბურთი უნვითარებდა გამორჩეულ ტექნიკას. 1993 წელს კანუ „აიაქსის" მზვერავებმა შეამჩნიეს და ჰოლანდიაში წაიყვანეს, თუმცა მის აღმოჩენას ნიგერიაში მინდორ-მინდორ თუ ქუჩა-ქუჩა სიარული აღარ სჭირდებოდა, იგი 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში უკვე მსოფლიოს ჩემპიონი იყო.

„ჰოლანდიაში რომ ჩავედი, ციოდა და საჭმელიც ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მიჩვეული გახლდით — იგონებს არსენალელი — უცხო იყო ჰოლანდიური ენა, მთელი გარემო, მალიმალ სახლში ვრეკავდი. კიდევ კარგი, ხალხი მეუბნებოდა, რომ ფეხბურთს კარგად ვთამაშობდი და ეს რწმენას მმატებდა. ვფიქრობდი, რომ თუ ბევრს ვიმუშავებდი, ზევით და ზევით წავიდოდი".

და, მართლაც, კანუმ ბევრი იმუშავა, ერთ წელიწადში „აიაქსის" ძირითადი შემადგენლობის კარი გაალო და 1995 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა. იმ ფინალში ამსტერდამელებმა „მილანს" მოუგეს.

1996 წლის ზაფხულზე კანუ გახლდათ ნიგერიის ოლიმპიური ნაკრების კაპიტანი. მაშინ ოლიმპიადა ატლანტაში გაიმართა და ფინალში ნიგერია ბრაზილიას შეხვდა. თუ გახსოვთ, ფრიად დრამატული მატჩი იყო, ნიგერიელებმა ანგარიში 90-ე წუთზე გაათანაბრეს, ხოლო დამატებით დროში „ოქროს გოლით" მოიგეს.

იმავე წელიწადს იგი „ინტერში" გადავიდა, მაგრამ სერია A-ში ფეხის მოსინჯვის წინ სამედიცინო შემოწმება გაიარა და... მისი ცხოვრებაც შეიცვალა.

„კარიერის მწვერვალზე ვიყავი — ამბობს აფრიკის 1996 და 1999 წლების საუკეთესო ფეხბურთელი — ყველაფერი საუცხოოდ მიდიოდა: ახალი კლუბი, რამდენიმე ამხანაგური თამაში და, უცბად, მეუბნებიან, რომ გულით ავადმყოფი ვარ. მანამდე გულს არასდროს შევუწუხებივარ, არც დავლილვარ. ყველაფერი უცნაური ჩანდა. ცუდად გავხდი, რადგან ერთადერთი, რაც მიყვარდა, ჩემი სამუშაო იყო. ის მაძლევდა შემოსავალს, მისით ვინახავდი ოჯახს და ამისთვის თავი უნდა დამენებებინა".

საბედნიეროდ, საქმეში ამერიკელი ექიმები ჩაერივნენ. მათ თქვეს, რომ ოპერაცია კანუს გამოაჯანმრთელებდა და, მეტიც, იქნებ, ოდესმე ფეხბურთსაც დაბრუნებოდა.

„მათ მითხრეს, შენ რაც გინდა, იმისთვის ოპერაცია უნდა გაიკეთო, ხოლო თუ რამდენიმე წლით გადასდებ, ყველაფერი დიდ პრობლემად გადაგექცევაო. მე ქრისტიანი ვარ, უფლისა მწამს და ვიცოდი, რომ ღმერთი დამეხმარებოდა. თავი მას მივანდე და ოპერაციაზე დავთანხმდი. იმ დღეებში ოჯახის წევრთა გარდა არავის ველაპარაკებოდი, ვლოცულობდი და უფალს დახმარებას ვთხოვდი".

და, კლივლენდის კლინიკაში სრულიად წარმატებული ოპერაცია გაკეთდა — მომდევნო ივნისს კანუ „სან სიროზე", „მანჩესტერ იუნაიტედთან" ამხანაგურ შეხვედრაში მოედანზე შემცვლელად შევიდა. ეს სწორედ ის თამაში გახლდათ, რომელშიც რონალდომ პირველად მოირგო მილანური კლუბის „შავ-ლურჯი" მაისური.

„იმ ქვეყანაში, სადაც ექიმებმა მითხრეს, რომ ფეხბურთს ველარასდროს ვითამაშებდი, კვლავ მაისურა ჩავიცვი და მოედანზე გავედი. ეს საუცხოო გრძნობა იყო" — იგონებს კანუ.

მაგრამ ამ ქვეყანაში ის დიდხანს აღარ დარჩენილა. რამდენიმე წვრილმანი ტრავმა, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ეტაპზე გასვლა და... 1999 წლის იანვარში მან „არსენალთან" გააფორმა კონტრაქტი.

„არსენალში" კანუს ახალი ეპოქა დაიწყო — არსენ ვენგერს იგი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად არასდროს მიაჩნდა და არც დღეს მიაჩნია, მაგრამ 2002 წელს, როდესაც ლონდონელებმა ჩემპიონობაც მოიგეს და ფეხბურთის ასოციაციის თასიც, მან რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

„ჩემი ჭიქა სავსეა თუ ცარიელი? სავსე მაშინ იქნებოდა, ყოველ შეხვედრაში მოედანზე რომ ვიყო და გოლები გამქონდეს, მაგრამ არც ცარიელია, რადგან მაინც ვთამაშობ და გუნდს ვარგივარ. თანამედროვე ფეხბურთში ოთხი ან ხუთი თავდამსხმელი უნდა გყავდეს...

მიხარია, რომ კვლავ ცოცხალი ვარ, ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები და არცთუ ურიგოდ".

ხოლო 4 მარტს, ბოსტონში აფრიკის ნაკრები დანარჩენ მსოფლიოს ხვდება. მატჩი საქველმოქმედოა, მიზანი — გითხარით.

„რამდენიმე ბავშვი, რომელთაც ოპერაცია გავუკეთეთ, ვერც კი იღიმებოდა. ისინი ვერაფერს აკეთებდნენ, მაგრამ ახლა დახტიან და თამაშობენ. ჩემი მთავარი სიხარულიც სწორედ ეს არის, ოცნება ამიხდა".

**პაპუნა ძიძია**

# რათა ერთი?
## ევერტონი მეორე რუნისაც ისაკუთრებს

„ეს ჩვენი კლუბისთვის დიდად გასახარი ამბავია. ჯონი დიდებული მოთამაშეა და თავისი შესაძლებლობით ძმასაც სჯობს" — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც „ევერტონმა" გუშინ გაავრცელა. ლივერპულური კლუბის თავკაცობა იმედს გამოთქვამს, რომ ეს ნაბიჯი ისევე გაამართლებს, როგორც ოთხი წლის წინ მაშინ 13 წლის უეინ რუნისთან დადებული კონტრაქტი.

დიახ, „ევერტონმა" ახალი რუნი შეიძინა — ამჯერად 12 წლის ჯონ რუნი, ინგლისის ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშის, უეინის უმცროსი ძმა. შემტევი ნახევარმცველი, ვინც აქამდე თავისი მშობლიური სკოლის გუნდში თამაშობდა, „ევერტონის" ჭაბუკთა აკადემიაში ჩაირიცხა. კონტრაქტის ვადა ჯერჯერობით სამნახევარი წლით განისაზღვრა.

უფროსი და უკვე ისტორიაში შესული ძმის დარად, პატარა ჯონიც „ევერტონის" ქომაგია და მშობლებთან ერთად ლივერპულის უბან კროქსტეთში ქანსელ (ანუ სახელმწიფოს მიერ აშენებულ და ოჯახისთვის უსასყიდლოდ გადაცემულ) 40 ათას გირვანქიან ბინაში ცხოვრობს. იქვე ბინადრობს შუათანა ძმა გრემიც, ვინც 15 წლისაა და ძმებივით მეტად ნიჭიერ სპორტსმენად ითვლება, თუმცა შარშან ფეხბურთის თავი ანება და კრივს მიჰყვა, იქ უფრო მეტის მიღწევა შემიძლიაო.

მეტი ბიჭი ამათ მამას, უეინ უფროსს აღარ ჰყავს, თუმცა მეტი რაღა — 17 წლის უეინ უმცროსი კვირაში უკვე 14 ათასი გირვანქას გამოიმუშავებს, შარშან BBC-იმ წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად დაასახელა, ეგ კი არა, 16 წლისას „მილანი" ეპალიჩებოდა და „ევერტონს" 2 მილიონ გირვანქასაც სთავაზობდა, მაგრამ...

„არ გაგიკვირდეთ, თუ 6-7 წელიწადში ინგლისის ნაკრების შეტევებს სწორედ ჩვენი ძმები გაუძღვნენ" — ამბობენ „ევერტონში" და ამათ იმედად ძველი დიდების დაბრუნებაზე ოცნებობენ.

**გიგა ძოგახიძე**



ჯონ რუნიმ (ბურთით) უეინს (მარჯვნივ) მიბაძა, გრემმა კი ლენოქს ლუისს



# ლარსონი მოგუდულს იმღერებს

„ლივინგსტონთან" მატჩში მცველთან შეჯახების შემდეგ ყბამონგრეული ჰენრიკ ლარსონი ისე გამოკეთდა, რომ ფეხბურთის თამაში არა, მაგრამ ლაპარაკი შეუძლია. რამდენიმე წლის წინ შვედ ფეხბურთელს ფეხიც კი მოსტყდა თამაშისას, მაგრამ ისევ მოჭჯობინდა და ძველებურად გაჰქონდა გოლები. აბა, სად ყბა და სად ფეხი. ლარსონს უხარია კიდეც, ყბა რომ მოუნგრიეს და არა ფეხი.

შვედმა მოტეხილი ყბიდან ამოღერღა: „ჯერ არ ვიცი, საბოლოოდ როდის გამოვკეთდები, თავს საშინლად ვგრძნობ, სულ მცირე ფიზიკური დატვირთვის მიღებაც კი არ შემიძლია. ის შეჯახება ალბათ გარდაუვალი იყო, რადგან ფეხბურთი კაცების თამაშია და ყველაფერი ხდება. სულაც არ ვაპირებ გამოკეთების შემდეგ მოედანზე ბალერინასავით ცანცარს. შიში ჩემთვის უცხო ხილია. მე თავდამსხმელი ვარ და ამიტომ აგრესიულად თამაში მმართებს. ეს ჩემი სტილია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჰენრიკ ლარსონი არ ვიქნები, რომლის ნახვასაც ჩემი ქომაგები მიეჩვივნენ. მართალია, რთული მატჩები გველის, ჯერ „შტუტგარტთან", მერე კი გლაზგოური დერბი მარტში, მაგრამ ვფიქრობ, „სელტიკი" უჩემოდაც იხეირებს მომავალ თამაშებში. ხვალ აუცილებლად მივალ სტადიონზე „სელტიკის" საქომაგოდ, თუმც ისე ვერ ვიყვირებ, როგორც მწადია. მიზეზი ალბათ გასაგებია, პირს ვერ ვაღებ".

**ვაჟა ხუციშვილი**




მარადონა: დიეგო, ძე დიეგოსი

# მამამისის ძე

1986 წელს დიდი დიეგო არმანდო მარადონა მსოფლიოს ჩემპიონობას რომ ზეიმობდა, იტალიაში იმავე წლის 20 სექტემბერს პატარა დიეგო დაიბადა. ბავშვის დედა, იტალიელი კრისტინა სინაგრა დიდმა დიეგომ თავისი ძმის წყალობით გაიცნო. მარადონა იმთავითვე კატეგორიულად უარყოფდა ბავშვის ავტორობას, რომელ კრისტინაზე მელაპარაკებით, წარმოდგენა არ მაქვსო.

როცა პატარა დიეგო ცხრა წლისა მოიყარა, იტალიურმა სასამართლომ ქალბატონ სინაგრას სარჩელი დააკმაყოფილა და დიეგო არმანდო უფროსი არმანდო უმცროსის მამად გაასაღა.

დღეს დიდი ფეხბურთელის პატარა შვილი 16 წლისაა და იტალიის მოქალაქეა. ქალაქ მონტეპოლიში ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო და ნაკრებში უმცროსი დიეგოც თამაშობს. იგი, რა გასაკვირია, ძალიან ჰგავს მამას, სახითაც და თამაშის მანერითაც. მარადონა უმცროსი მამის კვალს გაჰყვა და „ნაპოლის" ღირსებას იცავს, ოღონდ ჯერ მთავარ გუნდში მოხვედრამდე ბევრი უკლია.

კრისტინა სინაგრას თქმით, მას შემდეგ, რაც მისი შვილი ფეხბურთს ეზიარა, არგენტინის ნაკრების მატჩი (ტელევიზორში) არ გაუცდენია, თუმცა ყველაფერს თავისით, მამის დახმარების გარეშე მიაღწია. „მას ძალიან უყვარს ფეხბურთი — თქვა კრისტინამ, არგენტინის ჩემპიონატსაც ხშირად უყურებს, მაგრამ „ბოკა ხუნიორსის" კი არა, „რივერ პლეიტის" ქომაგია."

უმცროსი მარდონა 17-წლამდელთა ნაკრებშიც მიიწვიეს, რომელსაც ანტონიო რიკა წვრთნის და თუ მამასავით ფეხა გამოიჩინა, ეგებ „ცისფერი გუნდის" მაისურაც მოირგოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## Coca-Cola FIFA WORLD RANKING

### თებერვლის რეიტინგი

| I | II | III | IV |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 852 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 784 |
| 3 | 3 | ესპანეთი | 783 |
| 4 | 5 | არგენტინა | 768 |
| 5 | 4 | გერმანია | 762 |
| 6 | 6 | ჰოლანდია | 754 |
| 7 | 7 | თურქეთი | 735 |
| 8 | 8 | ინგლისი | 731 |
| 9 | 9 | მექსიკა | 729 |
| 10 | 10 | აშშ | 721 |
| 11 | 12 | დანია | 707 |
| 11 | 11 | პორტუგალია | 707 |
| 13 | 13 | იტალია | 702 |
| 14 | 14 | ირლანდია | 697 |
| 15 | 15 | ჩეხეთი | 686 |
| 16 | 16 | ბელგია | 684 |
| 16 | 17 | კამერუნი | 684 |
| 18 | 18 | პარაგვაი | 676 |
| 19 | 19 | სერბ. და ჩერნ. | 674 |
| 20 | 20 | სამხრეთ კორეა | 668 |
| 21 | 22 | რუსეთი | 664 |
| 40 | 44 | შვეიცარია | 589 |
| 92 | 92 | საქართველო | 455 |
| 100 | 98 | ალბანეთი | 427 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – კოეფიციენტი

## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

I ჯგუფი. I ტური

ლიბერტადი (პარაგვაი) 2:2 ემელეკი (ეკვადორი)

0:1, 0:2 ო. ტენორიო (9, 43), 1:2 ესპინოლა (58), 2:2 კოხენერი (80)

V ჯგუფი. I ტური

პენიაროლი (ურუგვაი) 2:2 გრემიო (ბრაზილია)

0:1 ა. ლიმა (60), 0:2 დუგლასი (77), 1:2 პაჩეკო (86), 2:2 სედრესი (89)

VI ჯგუფი. I ტური

უნივერსიტარიო (პერუ) 1:1 რასინგი (არგენტინა)

1:0 არტიგესი (4), 1:1 პუმარი (8ს.კ.)

VIII ჯგუფი. I ტური

კრუზ ასული (მეხიკა) 3:2 სთრონგესტი (ბოლივია)

1:0 აბრეუ (16), 1:1 კაბრერა (41), 2:1 ბალდი (75), 3:1 აბრეუ (80), 3:2 რ. რივერა (90)

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩები

შეფილდ იუნ. 1:3 რედინგი

1:0 მ. ბრაუნი (3), 1:1 ფორსტერი (35), 1:2 გ. უილიამსი (74), 1:3 ფორსტერი (81)

ჯილინგემი — უიმბლდონი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 32 | 19 | 10 | 3 | 66:32 | 67 |
| ლესტერი | 32 | 19 | 8 | 5 | 52:30 | 65 |
| რედინგი | 32 | 17 | 4 | 11 | 41:31 | 55 |
| შეფილდი | 30 | 15 | 7 | 8 | 45:33 | 52 |
| ნოტინგემი | 31 | 14 | 9 | 8 | 49:32 | 51 |
| როტერჰემი | 32 | 13 | 8 | 11 | 51:43 | 47 |
| ნორვიჩი | 30 | 12 | 10 | 8 | 43:30 | 46 |
| ვულვზი | 30 | 12 | 9 | 9 | 50:34 | 45 |
| უოტფორდი | 31 | 13 | 6 | 12 | 37:47 | 45 |
| იფსვიჩი | 30 | 12 | 8 | 10 | 47:38 | 44 |
| ქოვენთრი | 32 | 11 | 10 | 11 | 36:35 | 43 |
| მილუოლი | 32 | 12 | 7 | 13 | 39:47 | 43 |
| კრ. პალასი | 30 | 10 | 12 | 8 | 43:33 | 42 |
| ჯილინგემი | 30 | 11 | 9 | 10 | 40:41 | 42 |
| დერბი | 32 | 12 | 6 | 14 | 42:47 | 42 |
| ბარნლი | 30 | 11 | 8 | 11 | 44:55 | 41 |
| უიმბლდონი | 30 | 10 | 9 | 11 | 50:50 | 39 |
| პრესტონი | 31 | 9 | 11 | 11 | 47:50 | 38 |
| ბრედფორდი | 31 | 9 | 8 | 14 | 37:52 | 35 |
| უოლსოლი | 31 | 9 | 6 | 16 | 42:50 | 33 |
| გრიმსბი | 32 | 7 | 7 | 18 | 36:62 | 28 |
| ბრაიტონი | 32 | 6 | 8 | 18 | 33:51 | 26 |
| სტოკი | 31 | 5 | 10 | 16 | 34:56 | 25 |
| უენსდი | 32 | 5 | 10 | 17 | 31:56 | 25 |

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩები

გენიონი 0:1 ლე მანი

ნანსი 2:2 ვალანსი

სენტ ეტიენი — ამიენი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 25 | 15 | 5 | 5 | 37:15 | 50 |
| ლე მანი | 26 | 13 | 7 | 6 | 32:25 | 46 |
| მეცი | 25 | 12 | 7 | 6 | 32:20 | 43 |
| ლორიანი | 26 | 12 | 7 | 7 | 30:25 | 43 |
| შატორუ | 25 | 12 | 6 | 7 | 30:23 | 42 |
| გრენობლი | 26 | 9 | 10 | 7 | 30:17 | 37 |
| ამიენი | 24 | 9 | 7 | 8 | 18:17 | 34 |
| ნიორი | 26 | 9 | 7 | 10 | 28:29 | 34 |
| ვალანსი | 26 | 9 | 6 | 11 | 29:30 | 33 |
| კლერმონი | 26 | 9 | 5 | 12 | 28:37 | 32 |
| ნანსი | 25 | 8 | 7 | 10 | 22:29 | 31 |
| ლავალი | 24 | 8 | 6 | 10 | 25:27 | 30 |
| კრეტეი | 23 | 6 | 11 | 6 | 26:25 | 29 |
| ბოვე | 25 | 7 | 7 | 11 | 12:16 | 28 |
| გენიონი | 23 | 7 | 6 | 10 | 20:23 | 27 |
| ისტრი | 26 | 6 | 9 | 11 | 21:41 | 27 |
| რეიმსი | 24 | 5 | 11 | 8 | 20:25 | 26 |
| ვასკეალი | 24 | 5 | 11 | 8 | 16:21 | 26 |
| კაენი | 25 | 5 | 11 | 9 | 26:32 | 26 |
| სენტ ეტიენი | 24 | 5 | 10 | 9 | 18:23 | 25 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80



# ასათიანი პარმას ელის

## შვილობილის მადლობა და მამობილის იმედი



ბადრი კოთოლაის ფოტო

მალხაზ ასათიანი (№20) ჯერჯერობით ვარჯიშებზე ყოჩაღობს

მოსკოვის „ლოკომოტივში" გადაბარგებულ მალხაზ ასათიანს შინი გაუჩნდა უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ იტალიური „პარმა" მთელი სერიოზულობით ცდილობს რკინიგზელის შეძენას. არა, ეს ფეხბურთელი ასათიანი არ გეგონოთ. იტალიელთა სამიზნე „ლოკომოტივის" კაპიტანი და ლიდერი დმიტრი ლოსკოვია. რუსეთის ნაკრების 29 წლის გამთამაშებელი კი სწორედ ჩვენებურის უმთავრესი კონკურენტია ახალი კლუბის ძირითად შემადგენლობაში.

„პარმას" ლოსკოვით დაინტერესებას არც თავად რუსები მალავენ. „ლოკომოტივის" თავკაცმა იური სიომინმა კი ამ ფაქტს, ცოტა არ იყოს, ორაზროვანი კომენტარი გაუკეთა: „იტალიელთა სურვილის შესახებ მეც გავიგე. ლოსკოვი ჩვენთვის ძალიან დიდი ძალაა და არც გამკვირვებია, მისით „პარმა" რომ დაინტერესდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. ჩვენი ფეხბურთელებით უკვე ასეთი ძლიერი კლუბებიც მოიხიბლნენ".

როგორც ხედავთ, ეს ტრანსფერი რეალობასთან ახლოს დგას, თუმც ისიც საეჭვოა, რომ რუსებმა ფეხბურთელი ამ ეტაპზე დათმონ. მით უმეტეს, „ლოკომოტივი" ჯერ ჩემპიონთა ლიგიდანაც არ გავარდნილა, იტალიაში კი უკვე გახურებული სეზონია.

აბა, ახლა „პარმას" ჰკითხეთ. იტალიური კლუბის წარმომადგენლებმა ლოსკოვის საქმეში ნახვაც მოასწრეს. ისინი საწვრთნელი შეკრებისას დაბა ჩოკოში დაბანაკებული „ლოკომოტივის" და „ფლორენციის" საკონტროლო მატჩს დაესწრნენ და, როგორც იქაური ჟურნალისტები ირწმუნებიან, საკმაოდ კმაყოფილი სახეებით დაუტოვებიათ სტადიონი. იტალიელები წუხანდელ „მილანი" — „ლოკომოტივის" საჩემპიონთალიგო მატჩზე დასწრებასაც გეგმავდნენ.

ამიტომ ნაღდად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მალხაზ ასათიანის რკინიგზული კარიერა მნიშვნელოვანწილად სწორედ „პარმას" მარიფათზეცაა დამოკიდებული. ამასობაში კი თავად ქართველმა ფეხბურთელმაც მოახერხა და სიომინს თავი მოაწონა — ახლახან გაუწყეთ, ლოკომოტიველთა ორმხრივ თამაშში მალხაზმა საგოლე პასი გაუხერხა კოსტარიკელ უინსტონ პარკსს და ჟურნალისტთა შექებაც დაიმსახურა.

პარკსმა კი იური სიომინზე თქვა, ისე თბილად მექცევა, მამაჩემი მგონიაო. სიომინის კოსტარიკელ „შვილობილს" მადლობის გადახდა არც ჩვენებურისთვის დავიწყებია:

— „ლოკომოტივში" ჯერ მხოლოდ ორი გოლი გავიტანე. ერთი თანამეგობრობის თასზე, მეორე კი ახლახან, ორკარას თამაშისას. თუმც ეს გოლი აქტივში ნაღდად არ ჩამეთვლება. ასათიანმა ისეთი პასი მომცა, რომ არ გამეტანა, სირცხვილი იქნებოდა. იმ შეტევის დაგვირგვინება მალხაზისთვის უფრო რთული იყო, ვიდრე ჩემთვის. ამისთვის ჩემს პარტნიორს დიდი მადლობა ეკუთვნის".

შეგახსენებთ, რომ ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე თურქეთის ნაკრების კარში გოლის გამტან კოსტარიკელს „ლოკომოტივამდე" იტალიურ „ასკოლიში" და „უდინეზეში" უთამაშია.

**ძახა შალამბერიძე**

# ჯამარაულმა დემეტრაძე დაარიგა

## მწვრთნელს კი დახმარება არ დაამადლა

**კვლავ** საწვრთნელ შეკრებაზეა დონეცკის „მეტალურგი". უკრაინელებმა უკვე მესამედ მიაშურეს უცხოეთს და შემადგენლობაც მნიშვნელოვნად გააძლიერეს. ედუარდ ციხმეისტრუკის მოსკოვის „სპარტაკიდან" „მეტალურგში" გადასვლა ბევრმა ქართველი გამთამაშებლის, გოჩა ჯამარაულის ფრთების შეკვეცად ჩათვალა, თუმც ჩვენებური ჯერჯერობით მყარად ზის გუნდის სათამაშო სქემაში.

დონეცკელებს ესპანური „სოსიედადიდთთან" იჯარით აყვანილი გიორგი დემეტრაძეც შეემატათ. ამგვარად, „მეტალურგი" უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის სერიოზულად ემზადება.

აი, რას ამბობს საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული:

— გუნდში ახალი ფეხბურთელების მოსვლა სულაც არ მაშინებს. პირიქით, ასე კონკურენცია უფრო გაიზრდება, რაც უთუოდ ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედებს. ციხმეისტრუკთან და შიშჩენკოსთან ერთად უკვე ვითამაშე და ვფიქრობ, ამით „მეტალურგი" მოგებული დარჩება. მაღალი დონის ფეხბურთელია გიორგი დემეტრაძეც. თან უკრაინის ჩემპიონატი მისთვის უცხო არ არის და ადაპტაციისთვის დრო არ დაეხარჯება. „მეტალურგში" გადმოსვლამდე გიორგი დამიკავშირდა და რჩევა მთხოვა. მეც, რა თქმა უნდა, დონეცკში გადმობარგება ვურჩიე. ასე რომ, მეორე წრეში დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ".

| 204 | ბოსტონი | 6,0 |
| 205 | ნიუ ჯერსი | 7,0 |
| 206 | კოლორადო | 8,0 |
| 207 | ოტავა | 8,0 |
| 208 | ვანკუვერი | 12,0 |
| 209 | სენტ ლუისი | 12,0 |
| 210 | ტამპა ბეი | 15,0 |
| 211 | მინესოტა | 15,0 |
| 212 | ტორონტო | 20,0 |
| 213 | კაროლინა | 20,0 |
| 214 | ლოს ანჯელესი | 20,0 |
| 215 | ვაშინგტონი | 30,0 |
| 216 | სან ხოზე | 30,0 |
| 217 | მონრეალი | 40,0 |
| 218 | ანაჰაიმი | 50,0 |
| 219 | პიტსბურგი | 50,0 |
| 220 | ნეშვილი | 50,0 |
| 221 | ფენიქსი | 50,0 |
| 222 | რეინჯერსი | 100,0 |
| 223 | ფლორიდა | 150,0 |
| 224 | აილენდერსი | 150,0 |
| 225 | ჩიკაგო | 200,0 |
| 226 | კოლუმბუსი | 200,0 |
| 227 | კალგარი | 300,0 |
| 228 | ბაფალო | 300,0 |
| 229 | ატლანტა | 500,0 |
| 230 | ედმონტონი | 500,0 |

**კალათბურთი. NBA. თასი 1 მარტი (24.00)**

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 4,0 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 10,0 |
| 235 | ინდიანა | 10,0 |
| 236 | სან ანტონიო | 10,0 |
| 237 | ფილადელფია | 15,0 |
| 238 | ბოსტონი | 15,0 |
| 239 | ორლანდო | 25,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 25,0 |
| 241 | დეტროიტი | 25,0 |
| 242 | პორტლენდი | 35,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 35,0 |
| 244 | მინესოტა | 50,0 |
| 245 | სიეტლი | 50,0 |
| 246 | ფინიქსი | 75,0 |
| 247 | მილუოკი | 75,0 |
| 248 | იუტა | 75,0 |
| 249 | ატლანტა | 100,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |
| 251 | ტორონტო | 150,0 |
| 252 | ნიუ იორკი | 150,0 |
| 253 | კლივლენდი | 150,0 |
| 254 | მაიამი | 200,0 |
| 255 | ჩიკაგო | 500,0 |
| 256 | გოლდენ სტ. | 999,0 |
| 257 | მემფისი | 999,0 |
| 258 | დენვერი | 999,0 |
| 259 | კლიპერსი | 999,0 |

*ხშირად ხდება, ნბა-ში დაწუნებული კალათბურთელი ევროპას მოაშურებს და ცდილობს, თავისი სიტყვა ბებერ კონტინენტზე თქვას. ზოგს უმართლებს, ზოგი კი ისევე უხეიროდ ასრულებს კარიერას, როგორც დაიწყო. ამერიკელი ჯოზეფ ბლერი 1996 წლის დრაფტზე 36-ე ნომრად აირჩია „სიეტლ სუპერსონიქსმა", თუმც რჩეულზე უმალვე უარი თქვა და ბლერის ალმა-დალმა სიარულიც მაშინ დაიწყო*





# ფაჩულიას დამჩაგრავმა კინდერთან გამარჯვება ფაჩულიასვე მიუძღვნა

ნბა-სთვის მიუღებელმა კალათბურთელმა უამრავი ევროპული კლუბი მოიარა, იმედგაცრუების წარმატება ცვლიდა, თუმც რასაც ბლერი წლეულს შესწვდა, სერიოზული აღიარებაა... სტამბოლის „ულქერის" ძირითადი ცენტრი, ჩვენებური ზაზა ფაჩულიას სათადარიგოთა სკამზე მომჯაჭვული ჯოზეფ ბლერი ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის უძვირფასესი მოთამაშე გახდა. იმ ევროლიგისა, ბებერ კონტინენტზე დარჩენილ საკალათბურთო ელიტას რომ აერთიანებს. ურთიერთკონკურენციის მიუხედავად, „ულქერის" ამერიკელი და ქართველი ცენტრი კარგი მეგობრები არიან: „დარწმუნებული ვარ, ზაზა ნბა-ში წავა და სულ იმას ვიხოვ, როცა სიეტლელებს შეხვდება, უთხრას, მე რომ აქ ვარ, ჯოზეფ ბლერის დამსახურებაცაა" — გვითხრა გუშინ ბლერმა ამ ინტერვიუში, რომელიც მას თურქეთის ჩემპიონატის „ულქერ" — „ტეკელის" მატჩის დაწყებამდე ტელეფონით ჩამოვართვით.

**— გილოცავთ აღიარებას. რას იტყვის ევროლიგის რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე?**

— ეს უდიდესი ჯილდოა ჩემთვის. საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ მაღალი დონის კალათბურთელი ვარ. რომ არა ჩემი თანაგუნდელები, წარმატებას ვერ მივაღწევდი. „ულქერში" ჩემზე არანაკლებ ძლიერი პროფესიონალები თამაშობენ. ვფიქრობ, ეს ჯილდო მთელ გუნდს ეკუთვნის.

**— ამ ტიტულში ევროპის უძლიერესი კალათბურთელები გეცილებოდნენ. უძვირფასესი მოთამაშის პრიზს კიდევ ვინ იმსახურებდა?**

— მართლაც ბევრია ღირსეული, მიჭირს ვინმეს გამორჩევა. ევროლიგის სამივე ჯგუფის გამარჯვებულ გუნდს ჰყავს კალათბურთელები, რომლებიც ამ პრიზს იმსახურებდნენ. ძალიან ძლიერი მოთამაშეა პარტიზანელი მილოშ ვუიანიჩი, ასევე სიენელი მარსად თურქჯანი. ისინი ჩემზე არანაკლებად იმსახურებდნენ აღიარებას.

**— ევროპაში აღიარებულთათვის ნბა-ს კარი ღიაა. ამერიკაში დაბრუნებას ხომ არ აპირებთ?**

— ერთხელ უკვე ვიყავი ნბა-ში. 7 წლის წინ „სიეტლ სუპერსონიქსმა" ამირჩია დრაფტზე, მაგრამ ჩათვალა, რომ არაფერში გამოვადგებოდი და მეც ევროპაში წამოვედი. სულ იმის ცდაში ვიყავი, სიეტლელებისთვის დამემტკიცებინა, რომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს. ვფიქრობ, წლეულს ეს მოვახერხე.

**— წინადადება რომ მიიღოთ ნბა-ს კლუბისგან?**

— არ წავალ. ევროპაში კარგად ვგრძნობ თავს. ბევრს ვთამაშობ და შედეგიანადაც. ნბა-ში რომ წავიდე, მაქსიმუმ 10-15 წუთი მათამაშონ, თანაც იქაური კალათბურთის სტილი თითქმის გადამავიწყდა. კარგა ხანია, ევროპაში ვარ და თავსაც აქაური ყაიდის მოთამაშედ მივიჩნევ. „ულქერში" არაფერი მაკლია, ამერიკაში წასვლას არ ვაპირებ.

**— ზაზა ფაჩულიაზე რას იტყვით? ის თითქმის ვერ გიწევთ კონკურენციას...**

— ფაჩულია ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. მას ყველაფერი წინ აქვს და აუცილებლად ითამაშებს დიდ კალათბურთს. ვიცი, რომ მისი ოცნებაა ნბა-ში თამაში. მე ხშირად ვეუბნები ზაზას, 200 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ შენი ოცნება ახდება-მეთქი. თანაც აქედანვე იმას ვთხოვ, ნბა-ში რომ ჩავა, სიეტლელებს უთხრას, ჯოზეფ ბლერი ჩემი თანაგუნდელი იყო და მისი დამსახურებაცაა, აქ რომ ვარო.

**— ფაჩულიას თითი მოსტყდა და ახლა ალბათ შედარებით დიდი ჯაფა გადგებათ...**

— ძალიან მეწყინა, ზაზამ თითი რომ მოიტეხა. ეს ამბავი ზაზას იტალიაში, „კინდერთან" თამაშის წინ შეემთხვა. სხვათა შორის, იმ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე პირველივე შეკითხვა ფაჩულიას ტრავმას ეხებოდა. ჟურნალისტებს აინტერესებდათ, მარტოდმარტო როგორ გავწვდებოდი საქმეს. ვუპასუხე, შევეცდები-მეთქი და „კინდერთან" გამარჯვება ზაზას მივუძღვენი... ფაჩულია უკვე მომჯობინდა. გამორიცხული არაა, იგი დღევანდელ მატჩში, „ტეკელის" წინააღმდეგაც ათამაშონ.

**ირაკლი პერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბრაიანტი ქართულად ჩამყრელიძეა

— 18 თებერვალი —

**სან ანტონიო 101:76 დენვერი**

**სან ანტონიო:** პარკერი (8), ჯექსონი (14), დანკანი (11), ბოუენი (18), ვილისი (8); როუზი (7), ჯინობილი (8), კერი (8), სმიტი (7), პერი (5), კლაქსტონი (7)

**დენვერი:** ვიტნი, იარბრო (12), ჰოვარდი (21), ჰარვი (4), ილარიო (12); ჰარინგტონი (7), ანდერსენი (4), კემბი (4), ცქიტიშვილი (14 წუთი, 3 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი), ბოუენი (5), ბლუნტი (4)

**ნიუ ჯერსი 84:79 მაიამი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (12), კიტლზი (9), ჯეფერსონი (17), მარტინი (28), კოლინზი (7); ჰარისი (3), უილიამსი (4), როჯერსი (4)

**მაიამი:** ჰაუსი (11), ბუსტი (9), კ. ბატლერი (17), ალენი (8), გრანტი (13); სტეფანია (21 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), რ. ბატლერი (16), მარქსი (2), ჯეიმსი

**მემფისი 108:103 ინდიანა**

ძირითადი დრო 98:98

**მემფისი:** გასოლი (24 ქულა, 14 მოხსნა), უილიამსი (18)

**ინდიანა:** არტესტი (23), ონილი (23)

**ლეიკერსი 101:99 ჰიუსტონი**

ძირითადი დრო 82:82

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (52)

**ჰიუსტონი:** მინგი (24 ქულა, 14 მოხსნა)

**ჩიკაგო 107:101 კლივლენდი**

**ჩიკაგო:** როუზი (28)

**კლივლენდი:** ბუზერი (23)

**ატლანტა 79:105 დალასი**

**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (14)

**დალასი:** ფინლი (26)

**მილუოკი 93:102 საკრამენტო**

**მილუოკი:** კუკოჩი (21)

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (26)

**ნიუ ორლეანი 94:99 ორლანდო**

**ნიუ ორლეანი:** მაშბურნი (20)

**ორლანდო:** მილერი (24)

**ბოსტონი 125:117 გოლდენ სტეიტი**

**ბოსტონი:** პირსი (31)

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (39 ქულა, 13 მოხსნა)

კალათბურთით დამშეულ სანანტონიოელ ქომაგს კარგი საჩუქარი უძღვნა „სან ანტონიომ". 23-დღიანი შესვენების შემდეგ „სფურზმა" პირველად ითამაშა მშობლიურ „ეს ბი სი სენთერში" და მაჩანჩალა „დენვერი" იმსხვერპლა. მანამდე ტეხასელებმა წარმატებულად დალაშქრეს ამერიკის ქალაქები და 9 მატჩიდან 8 გამარჯვებაც მოინადირეს.

მასპინძლებმა კარგად იცოდნენ „დენვერის" სიბეჩავე და საწყის მეოთხედში კატათაგვობანა გაუმართეს. სტუმართა კინკილა ვარსკვლავმა ჯუონ ჰოვარდმაც თავი გამოიდო და სტუმრებს საწყისი მეოთხედი 22:21 მოაგებინა. გეყოფათო, ბრძანეს სანანტონიოელებმა ტიმ დანკანის მეთაურობით და დენვერელთა საქმე ბოლო თორმეტწუთეულამდე მოათავეს. ეს გახლდათ ნიკა ცქიტიშვილის მორიგი უიღბლო თამაში. ქართველი ხშირად კი სტუმრობდა სანანტონიოელთა ფარქვეშეთს და 4 მოხსნაც მიითვალა, მაგრამ მიზანი გაუმრუდდა — 8 სროლიდან ოდენ ერთხელ იხეირა და 14-წუთიანი ბურთაობა 3 ქულით დაასრულა.

უკეთესად გაისარჯა მაიამელი ვლადიმერ სტეფანია, რომელმაც „ნიუ ჯერსისთან" გასვლით შეხვედრაში 4 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. „მაიამი" ბოლომდე ებრძოლა, აღმოსავლეთის ერთ-ერთ ლიდერს, კედელთანაც ჰყავდა მიყენებული, მაგრამ ბოლო წამს ჯეისონ კიდისგან დამამთდა. მასპინძელთა უსხარტესი გამთამაშებელი კიდი თითქმის მთელი თამაში ჩრდილში იყო. ის უფრო შავი სამუშაოთი იყო დაკავებული და ბოლო მეოთხედამდე ოდენ 3 ქულა დაჰგროვებოდა, თუმც, როცა „ნიუ ჯერსის" სერიოზული საფრთხე დაემუქრა, მთელ თავის გამოცდილებას მოუხმო და მატჩის ბედიც თითქმის მარტომ გადაწყვიტა. ბოლო მეოთხედში მან 9 ქულა და 5 შედეგიანი გადაცემა მოიმკო. ყველაზე დრამატულ მომენტში კი, როცა 2 ქულით ჩამორჩენილი „მაიამი" ბოლო შეტევაზე წავიდა, კიდმა უმნიშვნელოვანესი ჩაჭრა გააჩერხა და საფინალო სირენამდე 5 წამით ადრე გადამწყვეტი სამქულიანი გამოაცხო. „კიდმა იმ ჩაჭრით გადაგვარჩინა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩააგდებდა თუ არა სამქულიანს, მთავარია, რომ მან მაიამელთა შეტევა ჩაშალა" — ამბობდა ამ მატჩში 28 ქულის მიმთვლელი ნიუჯერსელი კენიონ მარტინი.

უდრამატულეს, ორ ოვერტაიმიან მატჩს უმასპინძლა ლოს ანჯელესმა. ჩემპიონთა ქალაქში „ჰიუსტონი" ჩასულიყო და თავისი წოწოლა იაო მინგით შაკი ონილის „ლეიკერსს" უქადდა წაქცევას. შაკილი მუხლის ტრავმის მიზეზით საერთოდ არ გასულა მოედანზე, თუმც ჰიუსტონელებს აგრეთვე ფეხწამოტკივებული კობი ბრაიანტიც ეყოთ. „ტკივილი მღრღნიდა, მაგრამ თავს მოდუნების საშუალებას არ ვაძლევდი, ჩვენ ხომ შაკის გარეშე ვიყავით" — თქვა ბრაიანტმა, ვისთვისაც 40 ქულის ჩაგდება მზესუმზირის ჭამად ქცეულა. ის კი არა, კობი მაღლა-მაღლა მიიწევს, ახლაც „ჰიუსტონს" სეზონის პირადსარეკორდო, 52 ქულა ჩაუგდო.

შაკის არყოფნაში იაო მინგი ფარზე კი ლაღობდა, მაგრამ ჩინელზე სასარგებლო იყო ბრაიანტი. ლოსანჯელესელებმა მთელი ძალ-ღონე ჩააქსოვეს მინგის მოედნიდან გაძევებაში, რაც პირველი ოვერტაიმის დასაწყისში მოახერხეს. კობის გარდა ჩემპიონთაგან დამატებით დროში აღარავის შერჩენოდა ილაჯი, აკი პირველი ექსტრახუთწუთეულში მხოლოდ ბრაიანტმა ყარა ბურთები. მეორე ოვერტაიმი ლეიკერსული იყო, კობიმ მეურვე სტივ ფრენსის არაფერი დაუთმო, 8 ქულაც მოიხვეჭა და ჰიუსტონელები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა.



კობი ბრაიანტს არც ქულები უჭირს და არც ფულები

# კობი & კომპანია ჩაიშალა

## რიბოკზე უკეთ ნაიკით ვიფრენ

**ლლევანდელობის** ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი კობი ბრაიანტი „რიბოკის" ლოგოიანს არაფერს გაეკარება. „ლეიკერსის" ლიდერსა და სპორტული ატრიბუტიკის მწარმოებელ ამ ცნობილ ფირმას შორის საქმიანი ურთიერთობა კრახით დასრულდა. მხარეებს თითქოს ყველაფერი შეთანხმებული ჰქონდათ, დღე-დღეზე ბრაიანტი „რიბოკით" უნდა შემოსილიყო, მაგრამ კონტრაქტი ჩაიშალა.

„ჩვენ დიდი სამუშაო გავწიეთ. ვეძებდით გზებს, კომპანიისა და კობის საქმიანი ურთიერთობა წარმატებული კონტრაქტით დაგვეგვირგვინებინა, მაგრამ არ გამოვიდა. საკონტრაქტო თანხა უზარმაზარი იყო და რომ დავიანგარიშეთ, ბრაიანტთან ხელშეკრულებით მხოლოდ წაგებაში დავრჩებოდით. არა გვგონია, კობის „რიბოკის" ატრიბუტიკით შემოსვას იმდენი მილიონით გაეზარდა ჩვენი შემოსავალი, რამდენიც ბრაიანტისთვის უნდა გადაგვეხადა" — აცხადებს „რიბოკის" მენეჯერი პოლ ფაირმენი.

თავად ვარსკვლავი კი ამბობს, რომ ფული არაფერ შუაშია: „რიკობის" ხელმძღვანელებმა თავად დაასახელეს თანხის ოდენობა და მეც დავეთანხმე. არ ვიცი, მერე რამ დაარტყათ თავში, ისინი რაღაცას მიედ-მოედებოდნენ და მეც გადავწყვიტე, მათი გზიდან გადამეხვია."

„რიბოკმა" 2001 წლის აგვისტოში გააფორმა ნბა-სთან 10-წლიანი ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ლიგის მოთამაშეებთან და ნბა-სთან დაკავშირებულ კომპანიებთან თანამშრომლობის უფლება მიეცა. „რიბოკს" მრავალწლიანი კონტრაქტი აკავშირებს „ფილადელფიის" ვარსკვლავ ალენ აივერსონთან, ამ ფირმის ლოგოიან სპორტულ ტანისამოსს ატარებენ ასევე ჰიუსტონელი სტივ ფრენსისი, გოლდენსტეიტელი ჯეისონ რიჩარდსონი, ნიუჯერსელი კენიონ მარტინი და სხვანი.

ბრაიანტს კი უთქვამს, რომ „ნაიკის" წულ-მაისურებში უფრო კომპორტულად გრძნობს თავს და კმაყოფილიცაა, რომ დაღმავალ „რიბოკთან" ურთიერთობა აღარ მოუწევს.

**ირაკლი სახეჩიძე**



სადაც ჩახვალ, იქაურიო... ჟუსტინ ენენ-არდენი, ჯენიფერ კაპრიატი, ამელი მორესმო, მარტინა ნავრატილოვა და მონიკა სელეში დუბაიში

# კურნიკოვამ სექსშიც წააგო

## ანასგან განსხვავებით, ტასიამ იცის, რომ ხელში უფრო ხშირად ჩოგანი უნდა ეჭიროს



თქვენ რომელს ირჩევდით: ამ ქალს, დანი მინოუგის თუ ანა კურნიკოვას?

### ABN AMRO WORLD TENNIS TOURNAMENT

როტერდამი. ჰარდი

საპრიზო 800 ათასი $

### პირველი წრე

**ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — უეინ ართურსი (ავსტრალია) 7:6 (7:4), 7:6 (7:5); ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — ტიმ ჰენმანი (ბ, ბრიტანეთი) 6:4, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:2, 6:0; რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:7 (5:7), 6:2; რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) — მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) 3:6, 6:4, 7:6 (7:3)**

ტურნირის მეორე დღეს ვეტერანები — 32 წლის ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი და 29 წლის რუსი ევგენი კაფელნიკოვი გამოირჩნენ. პირველს სა-ATP-ო მატჩი შინაურ კორტებზე ბოლოს თითქმის სამი წლის წინ მოეგო, მეორეს კი 29 წელი სწორედ იმ დღეს შეუსრულდა.

კრაიჩეკმა, რომელსაც კარიერის განმავლობაში 17 ტიტული და 10 მილიონ დოლარზე მეტი მოუნაგრავს, ხოლო 1996 წელს უიმბლდონის ჩემპიონიც შექნილა, უკანასკნელი საშინაო გამარჯვება 2000 წლის ივნისში, მშობლიურ ჰერტოგენბოშში მოიპოვა. 2001 წლის მარტში მან იდაყვის ოპერაცია გაიკეთა და კორტს მხოლოდ ოცი თვის შემდეგ, იმავ ჰერტოგენბოშურ სარბიელზე მოუბრუნდა, სადაც პირველსავე წრეში როჯერ ფედერერთან დამარცხდა.

„შინაური ნავსი" მიწიდან მეტრისა და 95 სანტიმეტრის ამთვლელმა კრაიჩეკმა კერკეტი ესპანელის, ტომი რობრედოს ძლევით გატეხა, თუმცა საამისოდ — ანგარიშზეც დაატყობთ — კაი ძალი ბუღრაობა დასჭირდა.

რაც შეეხება კაფელნიკოვს, ვინაც თავის 29-წლოვან იუბილეს 11-წლოვანი პროფესიული კარიერისას მორეწილი 2 სლემჯილდოთი, ჯამში 26 ტიტულითა და 23,3 მილიონი დოლარით შეხვდა, იმ დღეს ესპანელთა ამომავალ იმედს, ყრმა ფელისიანო ლოპესს გადაუარა. სოჭელმა, ვისაც ამ ბოლო დროს აღარც რუსული პრესა სწყალობს და აღარც საკუთარი სიჩაუქე დაბადების დღეზე მაინც კაცურად გაილაღა და უწლოვანი მეტოქე 43 წუთში შემუსრა.

სხვაფრივ — ორტაიბრეიკიანი, ოღონდ მაინც წარუმატებელი ბრძოლა გაუჩაღა ტურნირის მთავარგანთესილ კოლო ფერეროს მძლავრად მომწოდებელმა ავსტრალიელმა ართურსმა. ხოლო შუა ნოემბერში მხარნაოპერაციევ ტიმ ჰენმანს დიდ კორტზე დაბრუნება კადნიერმა ხორვატმა, ივან ლიუბიჩიჩმა წაუმურდლა.

### KROGER ST. JUDE

მემფისი. ჰარდი

კაცები. საპრიზო 690 ათასი $

### პირველი წრე

**ენდი როდიკი (1, აშშ) — სისილ მამიტი (აშშ) 6:4, 6:4; პარადორნ შრიჩაფანი (2, ტაილანდი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:4, 6:2; ტეილორ დენტი (აშშ) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6 (17:15), 6:1; ჟენს საადია (აშშ) — ბრაიან ბეიკერი (აშშ) 6:2, 6:0**

მაჯამოკვეთებულსა და კორტსმობრუნებულ შარშანდელ ჩემპიონს, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტ ენდი როდიკს იმ დღეს 53 წუთი ეყო, რათა თვისტომ სისილ მამიტს გასცდენოდა და მეორე წრეში დაბინავებულიყო. იქ ის ჯასტინ გიმელსტობსა და კორეელ ლის შორის უმჯობესს ელოდება.

„მთავარი იყო, მატჩს სალი გადავრჩენოდი — ამბობდა ნამატჩევს ენდიბიჭი — მერე კი ის, რომ როგორმე მემარჯვა... შარშანდლის მერე ჩემი თამაში ბევრად შეიცვალა — ბადესთან უკეთესად ვჩოგნაობ, მოწოდება უფრო მძლავრი მაქვს. მოკლედ — შესამჩნევად მოვუმატე და მტერი უნდა ვიყო, ამით არ ვისარგებლო".

დანარჩენი შეხვედრებიდან გამორჩევას იმსახურებს ტაილანდელი პარადორნ შრიჩაფანის მიერ თავის მე-16 მემფისობაზე ჩასული მაიკლ ჩანგის ოტება. ჩია ჩანგი იქაურ მაგარსაფარზე პირველად 1988 წელს გამოჩნდა, როცა ჯერაც 16 წლის ავარა იყო, მას შემდეგ კი სეზონი არ გაუცდენია და 1997-ში ჩოგანი ტიტულსაც გამოკრა.

ღონიერი და ბასრი ტაილანდელის წინააღმდეგ ჩანგმა იმ დღეს ვერაფერი გააწყო და პირველი მოწოდებიდან 56 წუთის თავზე მიინავლა კიდეც. თუმცა მისთვის მთავარი მაინც ის იყო, რომ ტურნირის ორგანიზატორებიც და მემფისური მილეთიც მას გულწრფელად და რამერუმელ დაემშვიდობა — თქვენც ხომ გახსოვთ, რომ 34 ტიტულისა და 19 მილიონი დოლარის მომხვეჭი ეს 31 წლის აზიოამერიკელი წლევანდელი აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ სვიანად ნაქნევი ჩოგნის დედაბოძზე ჩამოკიდებას აპირებს!

და კიდევ — ისე-რა ამერიკელმა ტეილორ დენტმა ტურნირს მისი ორგზის ჩემპიონი, ზორბა ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი გამოაკლო. ოზი მასპინძელს მხოლოდ პირველ სეტში ეომა — მათმა ტაიბრეიკმა (17:15) კრაიჩეკსა და სტეპანეკს შორის მილანში ჩათამაშებულს (15:13) საამსეზონო პირველობაც კი ჩამოართვა, ხოლო მეორეში მოდუნდა და დენტს წლეულს პირველი გამარჯვება მოანაგვრინა.

ქალები. საპრიზო 170 ათასი $

### პირველი წრე

**ალექსანდრა სტივენსონი (4, აშშ) — სამანტა სტოზური (ავსტრალია) 3:6, 7:6 (9:7), 7:6 (10:8)**

### მეორე წრე

**სილვია ფარინა ელია (1, იტალია) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 6:2, 7:5; ლიზა რეიმონდი (2, აშშ) — ტარა შნაიდერი (აშშ) 6:3, 6:3**

ქალთა ამ ისე-რა შეჯიბრზე დღეს ეგებ საერთოდაც არაფერი გვეთქვა, რომ არა იქ ჩასული ანა კურნიკოვა, ვინაც ისევ ზურგის ტრავმას უჩივის და იქ ჩოგანქნევის ნაცვლად საქველმოქმედო საქმიანობით დაკავებულა. იმ დღეს სექსანა ბავშვთა საავადმყოფოს სწვევია და 30 ათასი დოლარიც შეუწირავს.

ხოლო სამისო თემები აქვე ბოლომდე რომ ამოვწუროთ, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ უკანასკნელი ინფორმაციის მიხედვით, ანას ესპანელ ხვადბულბულს, ენრიკე იგლესიასს მისდამი ინტერესი საბოლოოდ გაჰქარვებია და ახლა ცნობილი ოზმომღერლის, კაილი მინოუგის ბარაქიან და დანისთან ავხორცობს. ეგებ გახსოვდეთ — ეს დანი ადრე განთქმულ მეფორმულე ჟაკ ვილნევსაც ჰყვარობდა.

### COPA AT&T

ბუენოს აირესი. თიხა

საპრიზო 380 ათასი $

### პირველი წრე

**კარლოს მოია (1, ესპანეთი) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:3, 6:3; ფერნანდო გონსალესი (3, ჩილე) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:3; გასტონ გაუდიო (4, არგენტინა) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:4, 6:2; ხუან იგნასიო ჩელა (5, არგენტინა) — მარსელო შარმენტიე (არგენტინა) 2:6, 6:3, 6:1; გუსტავო კუერტენი (6, ბრაზილია) — ივან მირანდა (პერუ) 6:2, 6:4; ნიკოლას ლაპენტი (7, ეკვადორი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:4, 6:1; აგუსტინ კალერი (არგენტინა) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:4, 2:6, 6:4; ფელიძს მანტია (ესპანეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:3, 6:1; ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:4, 6:1; ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 7:6 (7:3), 6:3**

ბუენოსაირესულ საჩოგნეთში იმ დღეს 10 857 მოსეირე შეიკრიბა. როგორც სტატისტიკა გვაუწყებს — ასეთი ხალხმრავლობა იქაური ჩოგბურთკლუბის 111-წლოვან ისტორიაში არასოდეს აღნიშნულა. ჩანს, არგენტინელები თავისიანთა სანაქებო ჩოგნაობას შეუგულებია — თავად განსაჯეთ, 16 მერვედფინალისტიდან რვა სწორედ ადგილობრივი მობურთავეა.

ამ რვიდან ხუთი პირველსავე დღეს გამეორწრევდა, სამიც მეორე დღეს წაემატა. ამ სამიდან უმეტესი ღრიანცელი შარშანდელი ფინალისტის, აგუსტინ კალერის გამარჯვებამ გამოიწვია, ვინაც სწორედ თავის შარშანდელ დამჩოქებელს, ჩილელ ნიკოლას მასუს მოერია.

ისე კი — იმ დღეს იქ საინტერესო სხვაც ბევრი მოხდა. მაგალითად — მატჩის წინ საზარდული აიტკივა და იქ შეკრებილთაც და მონიტორებთან დადარაჯებულთაც — მახლას! — გუსტავო კუერტენისა და მისი ნანი-ნანატრი შეხლა მოუსაკლისა მარსელო რიოსმა. თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვაო, ჰალალად უთქვამს.

რიოსის ნაცვლად კორტზე გასული პერუელი მირანდა კი კუერტენს, ვინაც ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონია და მილეთმაც დგომელა ოვაციით მიიღო, სასპარინგოდაც არ ეყო.

დამარცხდა გასულ კვირას ვინადელმარულ ფინალში რიოსის მძლეველი ესპანელი დავიდ სანჩესი — ის ნიჭიერ ჩილელ გონსალესს ემსხვერპლა; სანაცვლოდ — იოლად იმარჯვა ტურნირის მთავარგანთესილმა ესპანელმა კარლოს მოიამ, რომელსაც იქ 1995 წელს გაუმარჯვია.

ჰო, მართლა — მეორე წრეში გასულთაგან ყველა ან სამხრეთამერიკელია, ან — ესპანელი. ასე რომ, ბუენოს აირესულ საჩოგნეთს მხოლოდ ჯიშად მეთიხნარენი შერჩნენ.

### DUBAI DUTY FREE WOMEN'S OPEN

ჰარდი. საპრიზო 585 ათასი $

### პირველი წრე

**ანასტასია მისკინა (5, რუსეთი) — დინარა საფინა (რუსეთი) 6:4, 6:3; პატი შნიდერი (6, შვეიცარია) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:4, 7:5; მაგდალენა მალეევა (7, ბულგარეთი) — ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) 7:5, 6:2; ელენი დანილიდუ (8, საბერძნეთი) — სელიმა სფარი (ტუნისი) 7:6 (7:2), 6:2; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:3, 6:2; ანკა ბარნა (გერმანია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:3, 6:0; იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:3, 4:6, 7:6 (7:4); ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) — ანჯელიკ ვიჯაჯა (ინდონეზია) 5:7, 7:5, 6:4**

### მეორე წრე

**მონიკა სელეში (4, აშშ) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:3, 6:2**

სხვა დროს ეგებ უფრო ვრცლად მონიკა სელეშის მორიგ გამარჯვებაზე გვესაუბრა, მაგრამ ამ ჯერზე მაინც უფრო ანასტასია მისკინაზე უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ეს უწინარესად იმის გამო, რომ ეს თხელფიცარა, მაგრამ დასტურ ხათქუნა და ზნეკეთილი რუსგოგო წინა კვირაში დოჰაურ ტურნირზე გაპარპაშების შემდეგ ცხოვრებაში პირველად აღზევდა ზეპურ ათეულში, ხოლო იმ დღეს — როგორც უკვე ზეათეულელმა თავისი პირველი გამარჯვებაც ირგუნა. კოხტა ტასომ იმ დღეს მარატ საფინის 16 წლის დაიკო, დინარა დაჩოგნა.

სხვაფრივ — მეტი გამორჩეული იქ აღარაფერი მომხდარა, რასაც — იმედია — ზემორე ანგარიშებიდანაც იგუმანებდით.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS ფოტოები

ანასტასია მისკინა ზევით მიიწევს

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური

**საქართველო — ესპანეთი**

22 თებერვალი. თბილისი. «ეროვნული»



ბორჯღალოსნებს ესპანელებთან ისევ დიდი ბრძოლა ელით

ბაჩო კაპანაძის ფოტო

# დათვებისგან დაკოდილ ესპანელებს იმედი უღიტინებთ

*ესპანეთის ნაკრები გუშინ გვიან ჩამოფრინდა თბილისში და სასტუმრო „მეტეხში" დაბინავდა. სტუმრები 32-კაციანი დელეგაციით გვესტუმრენ. აქედან 22 მორაგბეა, დანარჩენები მწვრთნელები და ოფიციალური პირები არიან. ესპანელები დღეიდან შეუდგებიან 22 თებერვლის მატჩისთვის მზადებას. ვარჯიშით კი სარაგბო კლუბ „ორბელიანელოს" ბაზაზე ივარჯიშებენ.*

სტუმრები ქართველებთან შეხვედრას რომ სერიოზულად უდგებიან, იქიდანაც ჩანს, რომ მატჩამდე ორი დღით ადრე ჩამოვიდნენ. ადრე, როგორც წესი, ამას თამაშის წინა დღეს აკეთებდნენ. საქმისადმი ესპანელთა ასეთი მიდგომა გასაგებია, რაკი ერთა თასის პირველ ტურში შინ გაცამტვერდნენ მტრად მოკიდებულ რუსეთთან (19:52) და ჩვენებთანაც შერცხვენას არ აპირებენ. პირიქით, გულის სიღრმეში ალბათ მარტო სამარცხვინოდ არწაგებაზე როდი ფიქრობენ, მათ მეტის იმედიც ექნებათ ისევ და ისევ პორტუგალია — საქართველოს მატჩის შედეგიდან გამომდინარე.

რუსებისგან განადგურებულ „ლომებში" ორი ცვლილებაა: ხოსე იგნასიო საპატერო და ხორხე პრიეტო შეცვალეს მარკოს მელამ და მიგელ ანხელ ფრეჩილიამ. ესპანელთა 22-კაციანი შემადგენლობა კი ასეთია:

**მორჩინალები:** *ხავიერ სალასარი, მარკოს მელა, ანტონიო ორტეგა, როხერ რიპოლი, დავიდ მონრეალი, სტივ ტუნიუ, სერხიო სოუტო, იგნასიო დე ლა მატა, მიგელ აბრილი, ივან კრიადო, რამირო გარსია სალასარი, ალფონსო მატა*

**უკანა ხაზი:** *ანტონიო ბელტრანი, პაბლო ფეიხუ, ანდრეი კოვალენკო, ალვარო ენსისო, ფერნანდო დიესი, სებასტიან ლუბსენსი, მანუელ კასკარა, მიგელ ანხელ ფრეჩილია, ხაიმე ნავა, ფერან ველასკო.*

ესპანელებს ორი ლეგიონერი ჰყავთ: ფრანგული „სტად როშელის" პირველხაზელი როხერ რიპოლი და „მონ დე მარსანის" შუამარბი სებასტიან ლუბსენსი.

თბილისში ჩამოსულთაგან ნაკრებში ყველაზე მეტი, 55 მატჩი ალვარო ენსისოს უთამაშია. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ სრულიად ესპანური რეკორდი ფრანსისკო პუერტო სოტოს ეკუთვნის, მას 76 სანაკრებო კეპი მოუხვეჭავს. სოტო კარგა ხანია რაგბის აღარ თამაშობს.

ესპანელების ლიდერები არიან ტომით ტონგელი სტივ ტუნიუ, რომელიც შერკინების ლიდერი და გაწაფული მელელოვეა და წარმოშობით უკრაინელი ანდრეი კოვალენკო. ამპლუით დამრტყმელი კოვალენკო ესპანელთა პირველი მექულეა, მას „ლომებისთვის" 104 ქულა გაუჩარხავს.

**ბაჩო სვანიძე**

# რუსები ქართველებს გლოვით დახვდებიან

**რუსეთშიც** მძვინვარე გრიპის ეპიდემიამ, არაერთი ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა. თუმც, ამაზე წერა იქნებ არც მოგვწეოდა, რომ არა ერთი გარემოება.

მუხთალმა სენმა რუსეთის ნაკრებისა და კრასნოიარსკის „სიბტიაჟმაშის" მორაგბე იური კოშელევი გამოასალმა სიცოცხლეს. კოშელევი ორი კვირა ებრძოდა სასიკვდილო ვირუსს და გუშინწინ საავადმყოფოში აღესრულა.

რუსეთის რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, 8 მარტს კრასნოდარში გასამართი რუსეთ — საქართველოს მატჩის წინ კოშელევის ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგებენ პატივს. რუს მორაგბეებს კი შავი სამკლავურები ეკეთებათ.

იური კოშელევი რატი ურუშაძისა და მიხეილ სუჯაშვილის თანაკლუბელი იყო.



# ილუმჟინოვმა ფიგურები ერთ ყუთში ჩააწყო

**ათწლიანი** ბუტიაობა-კინკლაობის შემდეგ საჭადრაკო სამყაროს გაერთიანება ელირსა. გასულ კვირას მოსკოვში ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი შეხვდა მსოფლიოს ჩემპიონ რუსლან პონომარიოვს და პლანეტის აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენად ნახევარფინალში ფიდეს რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფ გარი კასპაროვთან შეხვედრაზე დაითანხმა.



რუსლან პონომარიოვი



გარი კასპაროვი

მოგეხსენებათ, მსოფლიოს ამჟამად ორი მოქმედი ჩემპიონი ჰყავს, რუსლან პონომარიოვი ფიდეს ვერსიით და ვლადიმერ კრამნიკი კლასიკურ ჭადრაკში. ორივე მათგანი თავს მსოფლიოს ნამდვილ ჩემპიონად მიიჩნევს.

ასეთი დარდუბალა კი მსოფლიოს ჭადრაკში 1993 წელს დაიწყო, როცა მაშინდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ფიდესთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა და საკუთარი პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია ჩამოაყალიბა. მან ტურნირებიც გამართა, რომლებზედაც ჩემპიონის ტიტული ორჯერ დაიცვა.

1998 წელს კასპაროვის ასოციაციამ არსებობა შეწყვიტა. ორ წელიწადში კი გარიმ ვლადიმირ კრამნიკთან ლონდონურ მატჩში ჩემპიონის ტიტულიც დაკარგა. ამის შემდეგ კასპაროვი კვლავ უარობდა ფიდესთან ურთიერთობას, თუმც ბოლოს და ბოლოს გარიყულად ყოფნას დათმობებზე წასვლა არჩია.

გასული წლის 6 მაისს პრაღაში შედგა ფიდესა და კასპაროვს შორის გამაერთიანებელი თათბირი, რომელზეც გადაწყდა, რომ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენად ერთ ნახევარფინალს ითამაშებენ კასპაროვი და ფიდეს ჩემპიონი პონომარიოვი, მეორეს კი კრამნიკი და შარშანდელი დორტმუნდის სუპერტურნირის გამარჯვებული, უნგრელი პეტერ ლეკო. პონომარიოვი თავიდან სასტიკ უარზე იყო, აქაოდა, ფიდეს კასპაროვის ჩემპიონად გათრევა უნდაო, თუმც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილუმჟინოვიჩმა შეძლო მისი დაყოლიება.

„პონომარიოვმა ყველა პირობა მოიწონა, რომლებიც ფიდეს კომისიამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შეიმუშავა. უკრაინელი დიდოსტატი თანახმაა, პარტიები შვიდსაათიანი კონტროლით ითამაშოს.

თამაშის საორგანიზაციო საკითხებს შაბათს ბუქარესტში, საპრეზიდენტო საბჭოზე გავარკვევთ, თუმც მანამდე თამამად შემიძლია გითხრათ, რომ კასპაროვ — პონომარიოვის შეხვედრას 19 ივნისიდან 7 ივლისამდე ბუენოს აირესი უმასპინძლებს. საპრიზო ფონდი ერთი მილიონი დოლარი იქნება და მატჩი არგენტინის პრეზიდენტ ედუარდო დუალდეს მფარველობით გაიმართება, რომელიც ჭადრაკის დიდი მოყვარული და კარგი მოთამაშეცაა" — თქვა ილუმჟინოვმა.

შაბათს ფიდეს პრეზიდენტი კრამნიკისა და ლეკოს მენეჯერ კარსტენ ხენზელსაც შეხვდება და გაარკვევს, თუ სად და როდის ითამაშებს ორივე დიდოსტატი. არის საშიშროება, რომ კრამნიკმა საერთოდ უარი თქვას მატჩზე. ასეთ შემთხვევაში ლეკო პირდაპირ გავა ფინალში.

არგენტინელ სპონსორებს კასპაროვ-პონომარიოვის შეხვედრის გარდა ნოემბრის ფინალური მატჩის მასპინძლობაც სურთ და საპრიზო ფონდს, ორ მილიონ დოლარს ჩამოდიან.

მათ გარდა ჩემპიონთა ბრძოლის მასპინძლობა ნიუ იორკს და კიდევ რამდენიმე ქალაქსაც სურს.

**ლუშა გეგეჭკორი**

*იტალიის ალპური საკურორტო ქალაქი ვალე დაოსტა ათი დღე მასპინძლობდა მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა ევროპული „გრან პრის" ფინალურ ტურნირს. მონაწილეთაგან 49 დიდოსტატი იყო. ჩვენებურთაგან იტალიაში სათამაშოდ ორნი ჩავიდნენ — ზურაბ აზმაიფარაშვილი საქართველოდან, ქეთევან არახამია-გრანტი კი შოტლანდიიდან. ტურნირის დამთავრების შემდეგ აზმაიფარაშვილს სასტუმროში შევეხმიანეთ*



# ზურაბ აზმაიფარაშვილი დიპლომატიაში ჩაება

— 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოვაგროვე და გამარჯვებულს, რუმინელ დიდოსტატ ლივიუ-დიტერ ნისიპიანუს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამოვრჩი — გვამცნობს ბატონი ზურაბი — საბოლოოდ კი მეორე-მეოთხე ადგილები გავიყავი ჰოლანდიელ იგორ ტივიაკოვთან და ასევე რუმინელ ვლადისლავ ნევედნიჩუსთან.

**— ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა მხოლოდ ერთი პარტია წააგეთ...**

— საბერძნეთის სახელით მოასპარეზე იუგოსლაველ დიდოსტატ იგორ მილადინოვიჩთან შავი ფიგურებით ვითამაშე. მან დებიუტშივე მცირე უპირატესობა მიიღო და მის სასახელოდ უნდა ითქვას, ენდშპილში გადაყვანილი პარტია უშეცდომოდ დაასრულა.

**— აოსტაში ყველაზე ტიტულოვანი ვიქტორ კორჩნოი იყო...**

— კორჩნოის 6,5 ქულით მეცხრე ადგილი ერგო. ანატოლი კარპოვის დაუძინებელი მტერი, 72 წლის კორჩნოი არ იცვლება და დღემდე ღირსეულად გამოიყურება, ასეთივეა იგი საჭადრაკო დაფასთანაც — ბოლომდე მებრძოლი. ამ კაცს ყველა დროის გამორჩეულ დიდოსტატად მივიჩნევ.

**— საპრიზო ფონდი როგორი იყო?**

— ლინარესის, დორტმუნდის და ვეიკ-ან-ზეეს ტურნირებთან შედარებით არც ისე დიდი. ცოტა მეც მერგო, მაგრამ კარგად იცით, რომ თანხას არასოდეს ვასახელებ.

**— აოსტის ტურნირის პარალელურად მოსკოვში მიმდინარეობს „აეროფლოტ-ოუფენის" ტურნირიც. იქ თამაში არ გიჯობდათ?**

— მოსკოვში ყურაფრით ვითამაშებდი, რადგან იტალიაში უნდა დავსწრებოდი ფიდეს ევროპული საბჭოს ბიუროს სხდომებს. ამიტომაც ვარჩიე იტალიურ ტურნირზე თამაში.

**— ვიცით, რომ იტალიიდან რუმინეთში გადადიხართ. ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომები ბუქარესტში რატომ ტარდება?**

— ფიდეს წესდებით, ასეთი გასვლითი სხდომები ხშირია. არაა გამორიცხული, თბილისშიც გაიმართოს. ისე კი, ფიდეს შტაბბინა ისევ შვეიცარიაში რჩება.

**— ბუქარესტში ალბათ ძირითადი ყურადღება კასპაროვ — პონომარიოვის მატჩის საკითხებს დაეთმობა...**

— როგორც ვიცი, დღის წესრიგში 13-14 საკითხია.

**— რა წვლილი მიუძღვის დიდოსტატ აზმაიფარაშვილს ამ ორი დიდოსტატის მორიგებაში?**

— არავითარი მორიგება არ ყოფილა. ჩვენ წინასწარ შევიმუშავეთ რეგლამენტი, რომელიც ორივე დიდოსტატს გადავეცით და მოსაფიქრებლად ორი კვირა მივეცით. გარი კასპაროვისგან თითქმის არ ყოფილა პრეტენზიები. პონომარიოვის მენეჯერი კი სამ პუნქტზე არ დაგვეთანხმა.

**— რა არ აძლევდა ხელს პონომარიოვს?**

— პირველ რიგში მატჩის ჩატარების დრო. მას არ სურდა მაისში თამაში. ამაზე ფიდე დათმობაზე წავიდა. რაც შეეხება საპრიზო თანხის განაწილებას და დროის კონტროლს, აქ ილუმჟინოვს თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

**— ფიდეს პრეზიდენტი თუ შეხვდა პონომარიოვს?**

— ვეიკ-ან-ზეეს ტურნირის მერე პონომარიოვი მოსკოვში ჩავიდა და პირადად ესაუბრა ილუმჟინოვს. მას სურდა, საყაიმო, 6:6 ანგარიშის შემთხვევაში ჩემპიონს შეენარჩუნებინა თავისი ტიტული. საპრიზო თანხებს რაც შეეხება, იგი ითხოვდა, რომ გამარჯვებულისთვის 60 პროცენტი მიეცათ. მოსკოვში შეთანხმდნენ, რომ გამარჯვებული 55 პროცენტს მიიღებს, დამარცხებული — 45-ს. ტაიბრეიკის შემთხვევაში თანხა შუაზე გაიყოფა.

**— პონომარიოვმა საბოლოოდ თუ მოაწერა ხელი შეთანხმებას?**

— ყველაფერი ბუქარესტში გაირკვევა ამ შაბათ-კვირას. იგი მოსკოვში ისე რიხიანად ჩავიდა, ეგონა, თავისას ბოლომდე გაიტანდა. ამ შეხვედრის შემდეგ კი რუსლან პონომარიოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, ილუმჟინოვი ისე „მომაწვა", შანსი არ დამიტოვაო.

**— სად გაიმართება ეს მატჩი?**

— ჩემთვის ცნობილია, რომ გარი კასპაროვი თანახმაა ბუენოს აირესში თამაშზე. ყველა ორგანიზაციული საკითხი შაბათისთვის გაირკვევა, მათ შორის ფინანსურიც. ფიდე თავისი ძალებით ალბათ ვერ შეძლებს ამ მატჩისთვის ფულის შოვნას. მის კომერციულ ფირმას — „ფიდე-კომერცს" ფული არა აქვს. ლაპარაკია იმაზეც, რომ მატჩი მსოფლიოს საჭადრაკო ფონდიდან დაფინანსდეს.

**— მეორე ნახევარფინალურ წყვილში დიდოსტატ პეტერ ლეკოს გვარი საიდან გაჩნდა?**

— ეს ასეც იყო გათვალისწინებული. ვინც დორტმუნდის სუპერტურნირს მოიგებდა, ის იქნებოდა ნახევარფინალში კრამნიკის მეტოქე.

**ზურაბ ტაბატაძე**

# სახმელეთო შვეიცარიამ საზღვაო გიგანტები ჩაქირა

ახალზელანდიელთა შკიპერს დინ ბარკერს მეორე ეტაპის ფინიშზე პირდაპირ სახო წარეკვეთა. მისმა გუნდმა ტექნიკური გაუმართაობის გამო (აფრა აუწყდათ) უიმედოდ წააგო პირველი გაცურვა და მეორე ეტაპზე მის „ახალ ზელანდიას" ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი ჰქონდა. პირობა ასეთია: ორმა ნავმა ექვსჯერ უნდა გასცუროს 18,5 საზღვაო მილის ტოლი დისტანცია (1 საზღვაო მილი = 1800 მეტრს), ანუ A და B წერტილებს შორის მოსრიალემ სამჯერ უნდა შემოუაროს B წერტილს. მე-5 მონაკვეთზე „ახალი ზელანდია" მთელი 26 წამით უსწრებდა „ალინგის", რაც პრაქტიკულად გამარჯვებას ნიშნავდა. მაგრამ მოხდა სასწაული, შვეიცარიულმა ნავმა ახალზელანდიურს ერთი ნავის სიგრძით (80 ფუტი, ანუ 24 მეტრი) მიასწრო ფინიშთან. ეს უკვე ნამდვილი დამარცხება იყო და კუნძულელებს მაგრად შეელახათ თავმოყვარეობა. ისინი ჩემპიონები არიან, ამერიკის თასი 1995 წელს ჯაფაში მოუპოვებიათ, 2000 წელს კი დაუცავთ პრეტენდენტის ხელყოფისაგან. თანაც შეჯიბრი ახალ ზელანდიის წყლებში, ოკლენდის მიდამოებში, ჰაურაკის ყურეში მიმდინარეობს. 0:2 ის შედეგი არ იყო, რასაც ელოდნენ ჩემპიონები და მათი მრავალთასიანი ქომაგები.


დინ ბარკერი

*შვეიცარიას ალპების და მოთხილამურეების ქვეყანად ვიცნობთ. იქ აკეთებენ კარგ საათებს და ინახავენ პლანეტის რაგინდარა კუთხე-კუნჭულში რაგინდარა ხერხებით ნაშოვნ ფულს. რითი იქცევენ თავს შვეიცარიელები? ცოტა ფეხბურთით, ხანდახან სხვა ბურთაობებითაც, მაგრამ სად გაგონილა ამ მთის შვილთა, ჰა-ჰა, მთის ძირელთა ზღვაოსნობა? ჟენევის ტბაზე ხომ არ გაჭიმავდნენ აფრას?*

*კარგი, მაგრამ განა ამ ნავზე შვეიცარიული დროშა არ ფრიალებს? პლანეტის ახალ ამბებში ვგებულობთ, რომ შვეიცარიულმა ნავმა „ალინგიმ" მორიგი გაცურვა მოუგო „ახალ ზელანდიას" და ამერიკის თასის გათამაშებაში 3:0 დაწინაურდა.*

*ამ ინფორმაციაში შეცდომის ძიებას ნუ დაიწყებთ. შეიძლება მთელ შვეიცარიაში ვერ მოიძებნოს ერთი საშუალო წყალწყვის ნავისთვის საკმარისი კვალიფიციური ეკიპაჟი, მაგრამ სამაგიეროდ, იქ მოიძებნება ფულიანი და აფრაობაში დაინტერესებული კაცი — ერნესტო ბერტანელი. საქმეც ხომ ინტერესიდან და სურვილიდან იწყება. ჰოდა მიდგა, მოდგა ეს კაცი, იშოვა სპონსორები, თავისი ჯიბიდანაც ჩამოვიდა მილიონებს, მოძებნა აფრის დამაგრებაში და კურსის გამოთვლაში ჩაპოჭრილი მზემოკიდებული ბიჭები (ცხადია, არაშვეიცარიელები) და აი შედეგიც — „ალინგი" ამერიკის თასის ფინალშია და დღეს-ხვალ ჩემპიონიც გახდება. ამერიკის თასი კი მორიგი კომერციული მამაძაღლობა არ გეგონოთ, ესაა მსოფლიოში უძველესი სპორტული ტურნირი, რომელიც 152 წელია იმართება და დღემდე 120-ჯერ გათამაშებულა*


რასელ კოტსი

მალე „ახალმა ზელანდიამ" მესამე ეტაპიც წააგო. წინა გაცურვები ჩემპიონმა ნავმა გაუმართაობით და სპრინტში წააგო, მესამე ჯერზე კი მეტოქემ მას ტაქტიკურადაც მოუჭრა გზა. „ალინგიმ" მას კურსის გამოთვლაში და ქარის გამოცნობაშიც აჯობა, თავიდანვე დაწინაურდა და 23 წამით მიასწრო ბოლო ნიშნულთან. „3:0 დასარევი შედეგია. ეს ის უპირატესობაა, რომელსაც არაფრით არ დავთმობთ" — ამბობს „ალინგის" კაპიტანი რასელ კოტსი. მის სიტყვებში სიხარული და გამარჯვების რწმენა ჩანს. ამისთვის მეტი საბაბი არც არსებობს, რადგან 5 გამარჯვებამდეა და „ალინგის" ფაქტობრივად თავი ქუდში აქვს. ის იქნება პირველი ევროპელი ჩემპიონი, თანაც არა რომელიმე საზღვაო ქვეყნის, არამედ მთა-გორიანი შვეიცარიის წარმომადგენელი.

ისე სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ შვეიცარიის დროშის წარმატებაში ახალზელანდიელებს ურევიათ ხელი. „ალინგისგან" გაბითურებულ „ახალ ზელანდიას" კი არა „ალინგის" ახალზელანდიურ ეკიპაჟს ვგულისხმობთ. მეტსაც გეტყვით, შკიპერი რასელ კოტსი 1995 და 2000 წლის ჩემპიონი „ახალი ზელანდიის" მეთაური იყო. ის 2000 წელს ორ საუკეთესო მეზღვაურთან ერთად გადაბარგდა შვეიცარიაში.

მაგრამ სად ზღვა და შვეიცარია? რატომ შვეიცარია? პარადოქსია...

**ირაკლი ფირაშვილი**







ჩემპიონმა „ახალმა ზელანდიამ" პირველი ეტაპი ტექნიკური წუნის გამო წააგო, მეორეში კი სისწრაფეში ჩამორჩა „ალინგის"

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

18 თებერვალი

დეტროიტი 3:4 ვანკუვერი
*0:0 2:0 1:3 0:1*

ფილადელფია 2:2 ნიუ ჯერსი
1:1 1:0 0:1 0:0

პიტსბურგი 4:3 ედმონტონი
*1:1 2:1 0:1 1:0*

ფინიქსი 5:2 კოლუმბუსი
*3:1 1:1 1:0*

მონრეალი 0:3 ფლორიდა *0:0 0:3 0:0*

ტორონტო 4:3 კაროლინა *2:2 0:1 2:0*



## ზაუბერი

გუნდი დაარსდა 1970 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1993 წლიდან
163 რბოლა; 122 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი IV ადგილი (2001)
2002 წელს დაიკავა V ადგილი (11 ქულა)
**პრეზიდენტი:** პეტერ ზაუბერი
**ტექნიკური დირექტორი:** ვილი რამპფი
**მთავარი მოტორისტი:** ოსამუ გოტო
**ბოლიდი:** „ზაუბერ C22"
**ძრავა:** „პეტრონას 03A"
**საბურავები:** „ბრიჯსტოუნი"



**ნიკ ჰაიდფელდი**

**გერმანია**

დაიბადა 1977 წლის 10 მაისს მიონხენგლადბახში
ცხოვრობს მონტე კარლოში
უცოლო
სიმაღლე 164 სმ; წონა 59 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2000)
50 რბოლა; 19 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მერვე ადგილი (2001)
2002 წელს დაიკავა მეათე ადგილი (7 ქულა)
ასპარეზობდა „პროსტში" (2000)
„ზაუბერშია" 2001 წლიდან



**ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი**

**გერმანია**

დაიბადა 1967 წლის 18 მაისს მიონხენგლადბახში
ცხოვრობს მონტე კარლოში
ცოლშვილიანი
სიმაღლე 178 სმ; წონა 66 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ბრაზილიის დიდი პრიზი (1994)
პირველი მოგება: სან მარინო (1997)
141 რბოლა; 3 მოგება; 2 პოული; 6 უსწრაფესი წრე; 161 ქულა
1997 წლის მსოფლიოს ვიცეჩემპიონი
2002 წელს — მე-18 ადგილი (2 ქულა)
ასპარეზობდა „ზაუბერში" (1994-96), „უილიამსში" (1997-98), „ჯორდანში" (1999-01), „პროსტში" (2001), „ეროუსში" (2002)

# პეტერ ზაუბერი ისევ კრისტინას იმედზეა

**დამდეგი** საფორმულო სეზონი ინჟინერ-ბიზნესმენ პეტერ ზაუბერის გუნდისთვის მე-11 იქნება. მართალია, განვლილ ათწლეულში შვეიცარიელი ბოსის მრბოლებს რაიმე გამორჩეული წარმატებისთვის არ მიუღწევიათ (დღემდე ერთი დიდი პრიზიც ვერ დაისაკუთრეს), მაგრამ „ზაუბერი" სატურნირო ცხრილის ძირამდე მაინც არასოდეს დაშვებულა და სტაბილურად საშუალოებშია.

„ლურჯი რაკეტების" საუკეთესო შედეგი კონსტრუქტორთა თასზე შარშანწინდელი მეოთხე ადგილია, თუმც მათ მიღწეულის შენარჩუნება გასულ სეზონში ვერ მოახერხეს და უძლიერესთა (ფერარი, უილიამსი, მაკლარენი) შემდეგ ეს საპატიო პოზიცია „რენოსთან" ჭიდილში დათმეს. 60 წლის შეფი ამ უკანდახევას დროებით მოვლენად თვლის და როგორც ჰინვილში, „ზაუბერის" შტაბბინაში მოწყობილ ტრადიციულად პომპეზურ პრეზენტაციაზე განაცხადა, ახალი ბოლიდით და გერმანელი პილოტებით სარევანშოდ ემზადება: „C22 არა მარტო შარშანდელ მოდელს სჯობს, არამედ საერთოდ ჩვენი ფაბრიკის არსებობის მანძილზე საუკეთესო და ამასთან ყველაზე ძვირადღირებული მანქანაა. ძრავაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — ეს არის 850 ცხენისძალიანი საჩემპიონო „ფერარი 2002". ახალი „ზაუბერის" შექმნაზე უზარმაზარი თანხა დაიხარჯა და დარწმუნებული ვარ, ის არა მარტო ჩვენს პილოტებზე მოახდენს შთაბეჭდილებას."

ჰერ პეტერი ოცდაათწლიან ტრადიციას არ ღალატობს და ყოველ ახალ ბოლიდს თავისი მეუღლის — კრისტინას სახელს არქმევს. თუ რამდენად სწრაფი და საიმედოა წლევანდელი C22, მოკლე ხანში, ასე, ორიოდე რბოლის შემდეგ გამოჩნდება.

რაც შეეხება მძღოლებს, წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად გუნდში დებიუტანტი არ ჰყავთ, ახალი ბედაურებით გამოცდილი გერმანელები, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი და ნიკ ჰაიდფელდი იჯირითებენ. ჰა-ჰას (ფრენცენის მეტსახელი) საფორმულო კარიერა სწორედ ზაუბერის საჯინიბოში დაიწყო და ის ექვსწლიანი განშორების შემდეგ ისევ დაუბრუნდა ძველ მეგობარს.

მრბოლები ერთი ქალაქიდან — მიონხენგლადბახიდან კი არიან და ამჟამად მონტე კარლოში ლამის მეზობლადაც ცხოვრობენ, მაგრამ ასაკში ზუსტად ათწლიანი სხვაობის გამო ახლო ურთიერთობა და ერთმანეთში დიდი მისვლა-მოსვლა არასოდეს ჰქონიათ.

„ზაუბერს" არც წლეულს ჰყავს შტატიანი ტესტ-დრაივერი. ჰაიდფელდის შარშანდელი მეწყვილე ფელიპე მასა ამჟამად „ფერარის" სათადარიგო პილოტია, თუმცა საჭიროება თუ მოითხოვს, ტესტირებისას ან რომელიმე მრბოლის დაშავების შემთხვევაში, ყოფილ თანაგუნდელებს დაეხმარება.

„ზაუბერი", „ჯორდანი" და „მინარდი" კერძო საჯინიბოებია, რომელთა მატერიალური კეთილდღეობაც ბოსების მარიფათზეა დამოკიდებული. პეტერ ზაუბერი გაკოტრების პირას არასოდეს მდგარა, მაგრამ არც თავზე საყრელად ჰქონია ფული. ახლახან მან დაფინანსების ახალი წყარო იპოვა — ეს გახლავთ რუსეთის ფიჭური კავშირგაბმულობის უმსხვილესი ფირმა MTC (მობილური ტელე სისტემები). ხარფიანი ხელშეკრულება, რომლის დეტალებიც ცხადია, გასაიდუმლოებულია, სამწლიანი ვადით გაფორმდა. რუსების გარდა, ზაუბერს კიდევ სამი ბობოლა დამფინანსებელი ჰყავს — მალაიზიური „პეტრონასი", ავსტრიული „რედ ბული" და შვეიცარიული „კრედიტ სუისი". ასე რომ, ჰერ პეტერს ულრუბლო სიბერე გარანტირებული აქვს.

**გია ახალაძე**




პეტერ ზაუბერი და მისი ბიჭები „რენოზე" კბილებს ილესავენ


REUTERS პორტ ელიზაბეტიდან

# ნახეთ ბავშვის თვალები და უფრო მაღლა გოგოებო


REUTERS პიტერმარიცბურგიდან


REUTERS ჰარარედან

ზიმბაბვე და სამხრეთ აფრიკა დუღან კრიკეტით. აქ მთელი მსოფლიოდან ჩასულან განთქმული მოტაფულეები მსოფლიოს თასის დასაუფლებლად. თბილისის აეროპორტში ნაღდად არავინ დახვდებოდა ინდოელ სამინ ტენდულკარს თაიგულით, ჰარარე კი სხვა ამბავია: ამ ზიმბაბველ ბალღს, ტენდულფარი დევგმირად რომ მიაჩნია, დახეთ, როგორ გაბრწყინებია თვალები. ავსტრალიის გუნდს კი დღეს ჰოლანდიელ მოკრიკეტეებთან ელის თამაში. ჰოლანდია დიდი ვერაფერი საკრიკეტო ქვეყანაა და იზებსაც დიდად არ მოუკლავთ თავი ვარჯიშით. ვისაც როგორ ესიამოვნა, ისე გაერთო. აი, გლენ მაკგრეთს გულმა პოჩეფსტრუმის ზოოპარკისკენ გაუწია, სადაც საფარი მოუწყვიათ. გულადმა მაკგრეთმა ერთი კვირის ბოკვერი აიყვანა და ეფერება. უფრო გულადი კი მაშინ იქნება, რამდენიმე წლის მერეც თუ ჩაიხუტებს ამ ლომად ქცეულ ბოკვერს. ხოლო ინგლისმა პორტ ელისაბეთის „სენტ ჯორჯ პარკზე“ დაჯაბნა ნამიბია და კარგადაც მოიქცა, აბა, სხვაგვარად ამ გოგოებს ხომ აზრადაც არ მოუვიდოდათ მაისურების აწევა. ინგლისს უნდა ვუქომაგოთ, რაც უფრო წინ წაიწევს, ევებ გოგოებმაც უფრო მაღლა აიწიონ სამოსი.

# ორი ვეფხვი

ლოს ანჯელესის „სტეპლს სენთერში“ შეხვედრილან განთქმული მეგოლფე ტაიგერ ვუდსი და კინოს გმირებად გარდასახვის დიდოსტატი ჯეკ ნიკოლსონი, კალათბურთის ტრფიალნი. თამაში გვარიანად გაიწელა, „ლეიკერსს“ ორი ოვერტაიმი დასჭირდა „ჰიუსტონის“ დასამარცხებლად და ამათაც ბლომად დრო ჰქონდათ სამასლაათოდ. ნიკოლსონის გვერდით რომ ზის, იმ კონსპირაციულად ჩაცმული ძიაკაცის ამოცნობა არ ხერხდება, მაგრამ ალბათ ისიც დიდი ვინმეა.


REUTERS ლოს ანჯელესიდან



REUTERS ოკლენდიდან

# ასოქალები

ოკლენდის ყურეში დამდგარან შვეიცარიული იახტა „ალინჰის“ ქომაგი გოგოები და ხელებს ისე იქნევენ, თითქოს ამით ნიავს დაჰბერავენო. ისე, მგონი, მართლა უბერავენ, რაკიღა მათმა სათაყვანო იახტამ მესამე ეტაპიც მოუგო „ნიუ ზილანდ ტიმს“ და კიდევ უფრო მიუახლოვდა სანუკვარ ამერიკის თასს, რომლის ახლანდელი მფლობელები სწორედ ეს ზელანდიელები არიან. თასს ის მიიღებს, ვინც ხუთ ეტაპს მოიგებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჩიანი, გიორგი ვაშაკიძე, კოკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში კანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დეკანოიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge